ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ბაზარაშვილი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთის ტრანსფორმაციების კარტოგრაფირება (XIX-XX სს)

სამაგისტრო პროგრამა: გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დალი ნიკოლაიშვილი

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია....3
შესავალი....5
გეოგრაფიულ-კარტომეტრიული შესწავლის მოკლე ისტორია....8
თავი I. საზღვრისპირა ტერიტორიების კომპლექსურ - გეოგრაფიული მიმოხილვა....11
1.1. მდებარეობა და საზღვრები....11
1.2. ოროგრაფიული მიმოხილვა....14
1.3. ჰიდროგრაფიული ქსელი....16
1.4. ძირითადი ლანდშაფტები....18
1.5. მოსახლეობა....24
1.6. სამეურნეო საქმიანობა....25
1.7. ადმინისტრაციიული მოწყობა....26
თავი II. საზღვრის ისტორიული ცვლილებები....28
2.1. მოკლე ისტორიული მიმოხილვა....28
2.2. საბჭოთა და პოსტსაბჭთა პერიოდები....34
2.3. საზღვრისპირა რაიონების დემოგრაფიული ვითარება....36
2.4. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი სამართლებრივი დოკუმენტებისა და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით....38
თავი III. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის კარტოგრაფირება....46
3.1. მდინარე ფსოუს აუზის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი....46
3.2. რუკაზე არათემატურად გატარებული საზღვრები....48
3.3. თანამედროვე ვითარება....63
დასკვნა....69
გამოყენებული ლიტერატურა....70

ანოტაცია

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ-დასავლეთ მონაკვეთი ჩამოყალიბდა მეზობელ სახელმწიფოსთან, ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე და იგი უმთავრესად ბუნებრივ ზღუდეებზე გადიოდა. ისტორიულად ყველაზე ნაკლები ცვლილება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთმა საზღვარმა სწორედ აქ, კავკასიონის მაღალმთიან მონაკვეთზე განიცადა, სადაც მარადი თოვლისა და მყინვარების, კლდოვანი მასივების ზოლია გადაჭიმული. თუმცა ამ საზღვრის პერიმეტრზეც ხდებოდა ცვლილებები, რის გამოც დღემდე შემორჩა საზღვრის სადავო მონაკვეთები.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი სხვადასხვა პერიოდში შესწავლილა სხვადასხვა სპეციალისტის მიერ, თუმცა ეს შესწავლა ნაკლებად ეხება ძველ კარტოგრაფიულ წყაროებს.

კვლევის შედეგად:

- გამოვლინდა კარტოგრაფიული წყაროების, სამართლებრივი დოკუმენტებისა და რეალური ვითარების ურთიერთმიმართება;
- დადგინდა სხვადასხვა მასშტაბისა და სხვადასხსვა წელს გამოცემული კარტოგრა-ფიული წყაროების ურთიერთშედარება, რის საფუძველზეც დადგინდა ტერიტო-რიული მიკუთვნებულობის დინამიკა;
- განხორციელდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთის ისტორიული ტარნსფორმაციების კარტოგრაფირება;

სამართლებრივი დოკუმენტებისა და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით დადგინდა სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი.

Annotation

The north-western section of the Georgian state border was established with a neighboring state, on a basis of a long historic relations, and was mainly centered on natural boundaries. Historically, the lowest change in the north-west border of the country incurred here, on the mountainous section of the Caucasus, where is stretched rocky massifs' line of the everlasting snow and glaciers. However, there were changes on the perimeter of this border, because of there are arguable sections of the border until today.

It should be noted that this issue has been studied by various specialists in different periods, although this study is in a less contact with old cartographic sources.

Based on results:

- Identified interrelationship between cartographic sources, legal documents and real situation;
- Established mutual comparison between different scale and variously published cartographical sources, based on it, established dynamics of territorial attribution.
- Implemented north-western section historical transformations mapping of Georgia.

According to legal documents and cartographic sources, the issue of territorial attribution of the village Aibgi was established.

შესავალი

აქტუალობა. ქვეყნის საზღვრების მოწესრიგების საკითხი ყველა ქვეყნისათვის არის მნიშვნელოვანი. საზღვრების ცვლილება ყოველთვის იწვევს ტერიტორიულ ტრანსფორმაციებს და სახელმწიფოთშორის პრობლემებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოს წინაშეც, ვინაიდან მას საუკუნეების მანძილზე მუდმივად უწევდა საკუთარი ტერიტორიის დაცვა. დღესაც, XXI საუკუნეში საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეშია მოქცეული. მას მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებული აქვს: სომხეთთან _ 65%, აზერბაიჯანთან _ 65% და რუსეთთან _ 40 % (საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიების შეთანხმების საფუძველზე). ერთადერთია თურქეთთან საზღვარი, რომელიც საერთაშორისო სამართლითაა აღიარებული (როგორც ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო საზღვარი).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საკმაოდ დიდი ნაწილი დღემდე შეუთანხმებელია და სადავოდ რჩება. ერთ-ერთ მწვავე მონაკვეთად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი (აფხაზეთის) მონაკვეთი შეიძლება ჩაითვალოს.

მართალია, ეს საკითხი სხვადასხვა დროს იყო შესწავლილი სხვადასხვა სპეციალისტის მიერ, თუმცა ეს შესწავლა ნაკლებად ეხება ძველ კარტოგრაფიულ წყაროებს. არადა, ეს წყაროები შეიცავს მეტად მდიდარ ინფორმაციას, რაც საზღვრის რეტროსპექტიული სურათის შექმნის შესაძლებლობას იძლევა ისტორიულ კონტექსტში. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ძველი კარტოგრაფიული წყაროების შესწავლა და მათგან ინფორმაციის „ამოკრეფა“. დასახელებული კარტოგრაფიული წყაროები შედგენილია სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა მეტრულ სისტემასა და მასშტაბში. ამ თვალსაზრისით ასევე გასაანალიზებელია სამთავრობო დადგენილებები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რამაც განსაზღვრა სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციები.

საკითხის შესწავლას ართულებს ის გარემოება, რომ ეს ტერიტორია დღეს ოკუპირებულია. ამასთან ზოგიერთ ძველ კარტოგრაფიულ წყაროში ინფორმაცია ასახულია არასწორად. ამიტომ აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სწორი და არასწორი მონაცემები.

საქართველოსთვის საზღვრების მოწესრიგება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. ამიტომ, აუცილებელია საზღვრის მოწესრიგებასთან დაკავ-შირებით არსებული ყველა გარემოების, დოკუმენტების შესწავლა და მეცნიერულად დასაბუთებული საფუძვლების შემუშავება.

კვლევის მიზანია სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-დასვლეთ მონაკვეთის ისტორიული ცვლილებების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, დასახულია შემდეგი ამოცანები:

- საზღვრისპირა ტერიტორიების კომპლექსურ - გეოგრაფიული მიმოხილვა.
- საზღვრის ისტორიული ცვლილებები.
- საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის კარტოგრაფირება.

კვლევის ობიექტია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი _ აფხაზეთის სახმელეთო საზღვარი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვი-ლებულია სოფელ აიბგაზე, რომელიც მდებარეობს მდ. ფსოუს ზემო წელის აუზში. სოფელ იყოფა 5 უბნად, აქედან 3 უბანი მდებარეობს მდინარის მარცხენა მხარეს, საქართველოში, გაგრის მუნიციპალიტეტში, ხოლო 2 უბანი მდებარეობს მდინარის მარჯვენა მხარეს, რუსეთში ადლერის რაიონში. სოფ. აიბგის ხუთივე უბნის საერთო ფართობი 15,5 ათასი ჰექტარია.

კვლევის დროს გამოყენებულია ძირითადად 1:100,000; 1:50,000; და 1:25,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები, აგრეთვე ისტორიული რუკები საქართველოს ისტორიული ატლასიდან (2003 წ) და Google Earth-ის რუკები.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, 3 თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის სიას. პირველ თავში მოცემულია _ საზღვრისპირა ტერიტორიების კომპლექსურ - გეოგრა-ფიული მიმოხილვა. მეორე თავში განხილულია _ საზღვრის ისტორიული ცვლილებები. მესამე თავში _ საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის კარტოგრაფირება. ნაშრომი შესრულებულია 74 გვერდზე, ჩართულია 26 რუკა, 5 დიაგრამა და 1 ცხრილი.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ძირითად, მნიშვნელოვან, განმაპირობებელ ფაქტორებად ითვლება გეოპოლიტი-კური სიტუაციების ხშირი ცვალებადობა, საზღვრის ადმინისტრაციული ფუნქციის სტატუსი, არასამართლებრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ისტორიული დოკუმენტების არასწორი ინტერპრეტაცია, სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ რუკებზე სხვადასხვაგვარად გატარებული საზღვრის კონტურები, არადემარკირებული და არადელიმიტირებული საზღვრები და თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ფონი (მოსახლეობის სლავური წარმოშობა). სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთზე ისტო-რიული წარსულის ზოგიერთ მონაკვეთში საზღვარი თითქმის ყოველ წელს იცვლებოდა.

საქართველოს ისტორიული რუკების [საქართველოს ისტორიული ატლასი 2003] ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, კერძოდ კი ,,აიბგის მონაკვეთი“ ძვ.წ. VI-III საუკუნეებიდან ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს შემადგენლობაში იყო, ასევე მის ჩრდილო-დასავლეთით არსებული საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. ქვეყნის საზღვარი მაშინ გადიოდა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, თუმცა თანამედროვესაგან განსხვავებით, იგი მდ. ფსოუს ზემო წელის აუზისაკენ კი არ ეშვებოდა, არამედ მთავარი ქედის თხემს გაცილებით დასავლე-თით, სავარაუდოდ მ. ავადჰარადან (2960 მ.) მ. ფიშტამდე (2867 მ.) გასდევდა. შემდგომ პერიოდებში აიბგის მონაკვეთის ტერიტორიული კუთვნილება დროდადრო იცვლებოდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის უდიდეს მონაკვეთზე იგი საქართველოს ან მისი სამეფო/სამთავროს _ აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013].

გეოგრაფიულ-კარტომეტრიული შესწავლის მოკლე ისტორია

არაერთი ნაშრომია შექმნილი საქართველოს საზღვრის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთის შესახებ. მათი უმეტესობა საქართველოს საზღვრის საერთო ფონზეა განხილული და ისიც უმეტესად ისტორიულ ჭრილში.

საქართველოს საზღვრის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთის შესახებ ცნობები არსებობს ჯერ კიდევ **ვახუშტი ბაგრატიონის** ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ [ვაშუშტი ბაგრატიონი, 1941] და მის მიერ გამოცემულ „საქართველოს ატლასში“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1745]. ნაშრომში მოხსენიებულია „აღწერა ეგრისის ქვეყანისა ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. იმ პერიოდში მიმდინარე პროცესების გამო, საზღვარი ქვეყნის სიღრმეში იყო შემოწეული და სწორედ ეს ფაქტია მის ნაშრომებში ასახული. დასავლეთის საზღვრად ვახუშტი ბაგრატიონი მდ. კაპოეტისწყალს ასახელებს (ბზიფის ძველი სახელწოდება), რომლის იქით მას ჯიქეთი აქვს მოხსენიებული: „*ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით, ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღვამდე; დასავლით ზღვა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხვანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღვამდე; ჩდილოთ მზღვრის 5 მთა კავკასი, სამარით ზღვა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდამ კაპოეტის მდინარემდე ანუ ზღვამდე; განი ზღვიდამ კავკასის თხემამდე*“. ანალოგიურად არის საზღვარი გატარებული მის მიერვე შედგენილ რუკებზეც. თუმცა მეორე მხრივ, ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს ნიკოფსიას (ისტორიული ციხე ქ. ტუაფსეს სიახლოვეს), სადაც „არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა“. ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში არ არის სხვა მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს საზღვრის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთის შესახებ.

საქართველოს საზღვრის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთის შესახებ მეტად საინტერესო ნასრომი აქვს გამოქვეყნებული **პავლე ინგოროყვას** [ინგოროყვა, 1918]. იგი ქვეყნის საზღვარს გაცილებით ჩრდილო-დასავლეთით ატარებს, ვიდრე დღეს არის: „*საზღვარი დაიწყება მდინარე მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, _ საცა კავკასიონის მთავარი ქედი უახლოვდება შავ ზღვას, და რომლის ჩრდილოეთით ეს ქედი ჰკარგავს ველურ*

ხასიათს. საზღვარის ხაზი გასდევს ჯერ მდინარე მაკოფსეს შესართავიდან დაწყებული ვიდრე სათავეებამდე, გაივლის დიდი ფსეუშხოს მწვერვალს, მიჰყვება წყალთაგამყოფ ხაზს მდინარეების ტუაფსესა და აშეს შუა, და მიადგება კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს. გოითხის უღელტეხილიდან 20 კილომეტროზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. მოკიდებული ამ პუნქტიდან საქართველოს საზღვარი მიჰყვება კავკასიონის ქედებს..."

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" [ჯავახიშვილი, 1919]. საზღვარს იგი აქ თანამედროვესთან შედარებით, გაცილებით ჩრდილო-დასავლეთით ატარებს და ამას იგი ისტორიული დოკუმენტებისა და კარტოგრაფიული წყაროების გამოყენებით ასაბუთებს. აღნიშნული საზღვარი მას დატანილი აქვს მის მიერ შედგენილ რუკებზეც [ჯავახიშვილი, 1919, 1923]. 1923 წლის რუკაზე გატარებულია ვარდანესთან (დაახლოებით 40 კმ მანძილზე საქართველოს თანამედროვე საზღვრიდან), ხოლო 1919 წლის რუკაზე _ მდ. მაკოფსეზე (94 კმ მანძილზე) [ნიკოლაიშვილი, სართანია, 2018].

თავის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი ასევე ამახვილებს ყურადღებას საზღვრისპირა მოსახლეობაზე (რიცხოვნობაზე, ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობაზე) _ როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტის ფუნქციის მატარებელზე. იგი აღწერს აფხაზეთ-ჯიქეთის საზღვრისპირა მოსახლეობასაც და აღნიშნავს, რომ წებელდაში „ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა, 1867 წელს-კი მთელს ამ კუთხეში რუსთა წყალობით 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო", ხოლო „სამურზაყანო-აბხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერის თანახმად 141.000 მცხოვრებთა შორის 71.000 ქართველი და 43.000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21.000 სხვადასხვა ეროვნებისა" [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 6]. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, 1916 წელს აფხაზეთსა და ჯიქეთის გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობას - 50 %-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ, აფხაზები _ 30.5 %-ს, ხოლო სომხები _ მხოლოდ 4.3 %-ს [ნიკოლაიშვილი, სართანია, 2018].

მეტად საინტერესოა ინფანტერიის გენერალ **ილია ოდიშელიძის** მოხსენება და მემორანდუმი, რომელიც მან შეადგინა 1919 და 1920 წლებში. იგი აღნიშნავს, რომ XI, XII

და XIII საუკუნეებში საქართველოს საზღვარი სცილდებოდა ანაპას და აღწევდა მდ. ყუბანის შესართავამდე. შემდგომ, XIV საუკუნეში საზღვრებმა თანდათან უკან გადმოიწია მდ. მაკოფსემდე და XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე, ანუ საქართველოს ამ ნაწილის რუსეთთან შეერთებამდე, საზღვარი ყოველთვის იყო მდ. მაკოფსე (ტუაფსეს სიახლოვეს).

ამავე თემაზე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი ქართველ ემიგრანტს **ალექსანდრე მანველიშვილს** [მანველიშვილი, 1938]. ისიც ქვეყნის საზღვრად მდ. მაკოფსეს ასახელებს. ემიგრაციაში დასტამბული მასალების საფუძველზე საინტერესო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებეული რომან კვერენჩხილაძეს [1991]. აქ იგი მოკლედ მიმოიხილავს უცხოეთში გამოცემულ ნაშრომებს, რომლებიც ქვეყნის საზღვრებს შეეხება.

ასევე უნდა აღინიშნოს **ჯანსუღ კეკელიას** ნაშრომები, რომელიც იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისის წევრი და რომელმაც ორჯერ გამოსცა ნაშრომი „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“ [2006, 2016]. ნაშრომში განხილულია საზღვრის ცვლილების მოკლე ისტორია, თანდართულია ქვს საზღვრის ხაზის წერტილების კოორდინატები.

ნიკა სამხარაძე რომელიც ავტორია ნაშრომისა „საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – წარსული და აწმყო“. [2012]

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის მოანკვეთის კვლევას ნაშრომები მიუძღნა **დალი ნიკოლაიშვილმა** და **რევაზ თოლორდავამ** [2013, 2014], სადაც აღწერილია საზღვრის აღნიშული მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ასპექტები. კვლევა ეფუძნება XIX-XX საუკუნეების კარტოგრაფიულ წყაროებს, აგრეთვე სტატისტიკურ, ისტორიულ, ტერიტორიული მოწყობის, მოსახლეობის აღწერების, ნორმატიულ, მასმედიის და სხვა სახის მასალებს.

თავი I. საზღვრისპირა ტერიტორიების კომპლექსურ - გეოგრაფიული მიმოხილვა

1.1. მდებარეობა და საზღვრები

მსოფლიო დამოუკიდებელი ქვეყნების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საზღვარზე უსაფრთხოების და სტაბილურობის შენარჩუნება. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფონზე. მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც გადის კავკასიონის მაღალმთიან რეგიონში. სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი ყალიბ-დებოდა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს აფხაზეთის მონაკვეთზე რუსეთის ფედერაციაში შემავალი ადმინის-ტრაციული ერთეულები: კრასნოდარის მხარე (შედის სამხრეთის ფედერალურ ოკრუგში) და ყარაჩაი-ჩერქეზეთი (შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოკრუგში). აქ სახმელეთო საზღვრების უდიდესი ნაწილი (81 %) მოდის მაღალმთიანეთზე, მცირე ნაწილი (8 %) კი _ დაბლობზე (ნახ. 1.1.). მაღალმთიან ზოლში საზღვრის გასწვრივ მდე-ბარეობს 18 უღელტეხილი, რომელთა სიმაღლეს ზ.დ. 2000 მ-ზე მაღალია [ნიკოლაი-შვილი, თოლორდავა, დემეტრაშვილი, 2009].



ნახ. 1.1. აფხაზეთის სახმელეთო საზღვრის სიგრძე ჰიფსომეტრიული საფეხურების მიხედვით

საქართველოს სახმელეთო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი გასდევს მდ. ფსოუს ხეობას იმგვარად, რომ მისი მარცხენა მხარე საქართველოს, ხოლო მარჯვენა მხარე _ რუსეთის შემადგნლობაშია. საზღვრის შემდეგი მონაკვეთი მთლიაანდ კავკასიონის მთავარი ქედის თხემს გასდევს მ. აგეფსთიდან (მ. გვანდრასა და უღ. დალარს შორის მოქ-ცეულ) უსახელო მწვერვალამდე.

საქართველოს უკიდურესი დასავლეთი საზღვარი იწყება შავ ზღვაზე მდ. ფსოუს შესართავთან (ჩ.გ. 43⁰23’31“ და ა.გ. 40⁰00’30“). ამ ნაწილში საქართველოს 73,3კმ-ის სიგ-რძის სახმელეთო საზღვარი აქვს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან (1:500000 მასშტაბის რუკის მიხედვით). მდ. ფსოუს შავი ზღვის შესართავიდან საზღვარი მიუყვება ამავე მდინარეს და მიემართება აცეტუკის ქედისკენ, კვეთს მ. აგეფსთას (3256 მ.), მიუყვება მის თხემურ ნაწილს. შემდეგ საზღვარი მიუყვება მდინარეების _ მზიმთასა და ავადჰარას წყალგამყოფ სერს, კვეთს ახუკდარას (2072 მ.) გადასასვლელს, შემდგომში იგი იღებს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებას და მიუყვება კავკასიონის ცენტრალური ქედის წყალგამყოფს, გაივლის მ. აჟარას (2907 მ.), აქედან კი სამხრეთ-აღმოსავლეთით 100კმ-ის გავლის შემდეგ იგი მიადგება საქართველო-სტავროპოლის მხარის საზღვრის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილს.

საზღვრის ამ ნაწილში კავკასიონის ქედის თხემით საქართველოს ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა. საზღვარი 173,5 კმ სიგრძისაა და მიუყვება კავკასი-ონის ქედის წყალგამყოფს, გაივლის დამხურცის უღელტეხილს, მ. ჩამხარას (2664 მ.), უღელტეხილებს _ ჩამხარას (2486 მ.), აძათს (2497 მ.), სანჩაროს (2589 მ.), ალაშტრახუს (2723 მ.), ლაბას (2575 მ.), ზ.დ. 2928 მეტრზე მდებარე მწვერვალს, უღელტეხილ მაგანას (2265 მ.), 2794 მ-ის სიმაღლის მთას, გადასასვლელს _ წყალგეხულირს (2539 მ.) [ნიკოლაი-შვილი, თოლორდავა, დემეტრაშვილი, 2009].

ამის შემდეგ საზღვარი აკეთებს რკალს და ჩრდილოეთის მიმართულებისაა 3451 მ. სიმაღლის მთამდე, კვლავ მიუყვება თხემს, გაივლის ნაურის უღელტეხილს (2839 მ.) და 3489 მეტრის სიმაღლის მთას, შემდეგ კვეთს კიზგიჩის უღელტეხილს (2997 მ.) და რიგი სიმაღლეების (3443 მ., 3434 მ.) გავლის შემდეგ მიდის მარუხის უღელტეხილამდე (2746 მ.). ყარაკაიას მწვერვალიდან (3892 მ.) საზღვარი სამხრეთის მიმართულებისაა, ხოლო

შემდეგ აღმოსავლეთისაკენ უხვევს მ. ერწახომდე (3910 მ.). შემდეგ საზღვარი კვლავ მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფს და გაივლის უღ. სოფრუჯუს, მ. სოფურუჯუს (3786 მ.), მ. ჯუგუტურლიუჩატს (3896 მ.), მ. პტიშს, პტიშის უღელტეხილს (2995 მ.), ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით კი მ. დომბაი-ულგენს (4046 მ.), მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაივლის მ. ჩაკელას (3645 მ.), ქლუხორის უღელტეხილს (2781 მ.), აკეთებს რკალს ჩრდილოეთისკენ და ნახარის უღელტეხილის გავლით მიდის მ. ღვანდრამდე (3984 მ.). შემდეგ საზღვარი გაივლის დალარისა (3291 მ.) და ჩიპერის (3285 მ.) უღელტეხილებს და აქ მთავრდება საქართველოსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვარი [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, დემეტრაშვილი, 2009].

ადმინისტრაციული თვალსაზრისით სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ 4 მუნიციპალიტეტია: გაგრის, გუდაუთის, სოხუმისა და გულრიფშის (ნახ. 1.2.). მათგან საზღვრის გასწვრივ უგრძეს მანძილზე გადაჭიმულია გულრიფშის მუნიციპალიტეტი.



ნახ. 1.2. აფხაზეთის სახმელეთო საზღვარი მუნიციპალიტეტების მიხედვით

სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო მონაკვეთი სხვა მონაკვეთებთან შედარებით ყველაზე შედარებით ნაკლებ ცვლილებებს განიცდიდა ისტორიულად. მიუხედავად ამისა, დღეს ეს მონაკვეთი ყველაზე არასტაბილურია და მუდმივად არის მეზობელი ქვეყნისგან საზღვრის ცვლილების საშიშროება. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება იმის გამო, რომ საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის არ არსებობს მოლაპარაკებები, სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთის დემარკაცია-დელიმიტაციის თაობაზე. ასევე აქტუალურია სეპარატისტული რეგიონების პრობლემა. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები არასტაბილურობის ძირითადი მიზეზებია.

1.2. ოროგრაფიული მიმოხილვა

მთავარი წყალგამყოფი ქედი აფხაზეთის (საქართველოს) ფარგლებში იწყება მ. ავადჰარასთან (2960 მ.) და გრძელდება მ. გვანდრამდე (3985 მ.) (ნახ. 1.3.).

წყალგამყოფი ქედის თხემს სუბგანედური მიმართულება აქვს და მისი სიგრძე პირდაპირი ხაზით 125,0 კილომეტრია, თხემის გაყოლებით კი 183 კმ. დასავლეთ კავკასიონის ფარგლებში ქედი ნაკლები დაკლაკნილობით ხასიათდება, წყალგამყოფი ქედი დასავლეთის მიმართულებით დაბლდება, ყველაზე მაღალი მონაკვეთი მ. მარუხსა (3800 მ.) და მ. დომბაი-ულგენს (4046 მ.) შორის მდებარეობს (ნახ. 1.4.). მწვერვალებიდან აღსანიშნავია: ავადხარა (2960 მ.), მარუხი (3800 მ.), ერცახო (3910 მ.), ერცოგი (3863 მ.), სოფრუჯუ (3780 მ.), ჯუგუტურლიუჩატი (3896 მ.), დომბაი-ულგენი (4046 მ.) და ღვანდრა (3419 მ.).



ნახ. 1.3. აფხაზეთის ოროგრაფიული რუკა

საქართველოს საზღვრის დასავლეთ 73,3 კმ-იან მონაკვეთზე ვიდრე მთავარ წყალგამყოფ ქედს მივადგებოდეთ მხოლოდ ერთი ახუდკარის (2072 მ) უღელტეხილია, რომელიც თოვლისგან თავისუფალია V-IX თვეების განმავლობაში. ამ გადასასვლელით ერთმანეთს უკავშირდება მდ. ავადჰარას და მდ. მზიმთის ხეობები. მდ. ავადჰარას ხეობაში გადის გაგრა - რიწის ტბა - კურორტი ავადჰარას, დამაკავშირებელი კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა.

საქართველო - ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთ-ზე კი 14 გადასასვლელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ 176,8 კმ-ის სიგრძის საზღვარზე ყოველ 14 კმ-ში ერთი გადასასვლელი მდებარეობს და მათი მოქმედების პერიოდი განსხვავე-ბულია. მაგალითად,- დამხურცას (2425 მ.), ჩმახარას (2486 მ.), აძათას (2497 მ.), სანჩაროს (2589 მ.) უღელტეხილების მოქმედების პერიოდი მხოლოდ ხუთი თვეა (V-X თვეები), ხოლო მაგანას (2265 მ. იგი ყველაზე დაბალი გადასასვლელია ამ მონაკვეთზე), წყარიგეხვილირის (2539 მ.), ლაბას (2575 მ.) და მარუხის(2746 მ.), უღელტეხილების მოქმედების პერიოდი ოთხი თვე (VI-X თვეები). ნახარის (2839 მ.), ბზიფკიზიჩის (2997 მ.), პტიშის (2995 მ.), ქლუხორის (2781მ.), დალარის (3291 მ.) და ჩიპარის (3285 მ.) გადასასვლელები მოქმედებენ მხოლოდ სამი თვე (VII-X თვეები) და ისიც მხოლოდ ცხენით და ფეხით მოსიარულეთათვის. ქლუხორის გადასასვლელით ინტენსიური ავტოსატრანსპორტო კავშირები ხორციელდება ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკასთან (და არა მარტო მასთან). ზოგ შემთხვევაში მაღალი კლასის ტრანსპორტით შესაძლებელი ხდება მარუხის უღელტეხილზე გადასვლა ივნისის ბოლოდან სექტემბრის პირველ რიცხვებამდე.



ნახ. 1.4. აფხაზეთის სახმელეთო საზღვრის ჰიფსომეტრიული პროფილი

წყარო: ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ., დემეტრაშვილი ო. საქართველოს საზღვრები. 2009.

1.3. ჰიდროგრაფიული ქსელი

აღნიშნული საზღვრის გასწვრივ ერთადერთი მდინარეა _ ფსოუ. მდინარის აუზში უმაღლესი ადგილია მწვერვალი ახ-აგი 2732,4 მ, უდაბლესი ადგილია მდ. ფსოუს შესართავთან _ -0,4 მ. აუზის ფართობია მთლიანად _ 420კმ.კვ, მდინარე ფსოუს ვარდნა _ 2315,6 მ (სათავე 2315,2 მ, შესართავი _ -0,4მ), მდ. ფსოუს ვარდნა 1 კილომტრზე _ 40,6 მ, ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირე 1 კმ.კვ.-ზე _ 2.3. (1:25 000 ტოპოგრაფიული რუკის მიხედით).

მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს გვაქვს ერთი უსახელო ტბა ზღ. დ-დან 1821,7 მ-ზე.

მდ.ფსოუს მარცხენა მხრიდან უერთდება 32 ნაკადი. აქედან 3 მათგანი დროებითია დანარჩენი 29 კი მუდმივი. მდინარეებიდან აღსანიშნავია: კრეპოსტნაია, არაშხა, კატარხა (მისი მარცხ.შენ. ბრეში), ფესოილა, და ფხისთა (მდ. ფსოუს უდიდესი მარცხენა შენაკადია). მეორე რიგის კი სულ 87-ია (აქედან 26 დროებითი ნაკადია, ხოლო 61 მუდმივი).

კრეპოსტნაია - სათავეს იღებს მწვერვალ აიბგა 3-დან (1831,5 მ). მდინარეს მარცხენა მხრიდან უერთდება 15 უსახელო შენაკადი (აქედან 10 დროებითი ნაკადია), მარჯვნიდან 7 შენაკადი (1 დროებითი). იგი ზღ.დ.-დან 775,0 მ-ზე უერთდება მდ. ფსოუს. მდ. კრეპოსტნაიას მარცხენა სანაპირო შენაკადთა სიუხვის გამო მარჯვენაზე მეტადაა ეროზირებული. მდინარის სიგრძე 8 კმ.

არაშხა - სათავეს იღებს დაახლოებით 2000 მეტრიდან. უერთდება მდ. ფსოუს ზღ. დ.-დან 600 მ.-ზე. მას მხოლოდ 1 მცირე შენაკადი აქვს მარჯვენა მხრიდან. მდინარის სიგრძე 6,5 კმ.

კატარხა - სათავე 1700 მ. შესართავი მდ. ფსოუსთან 484,0 მ, სიგრძე 9 კმ. მდინარეს მარცხენა მხრიდან უერთდება 1 მცირე და 2 დიდი შენაკადი (მდ. ფესოილა სთავე 2150 მ, სიგრძე 7,5კმ და მდ. ბრეში სათავე 2150 მ. სიგრძე 4,5 კმ და ამ მდინარეების 12 მცირე შენაკადი.) მდინარეს მარჯვნიდან უერთდება 2 მცირე შენაკადი. მდ. კატარხას მარჯვენა სანაპირო სათავეში კლდოვანია, ხოლო მარცხენა სანაპირო ფერდობთა დიდი დახრილობის გამო ეროზირებულია.

ფხისთა - სათავე-1800მ, შესართავი - 10მ, სიგრძე - 11.2 კმ. მარცხნიდან უერთდება 10 დროებითი და 15 მუდმივი ნაკადი. მარჯვნიდან 1 დროებითი და 9 მუდმივი. მდინარის შუა და ქვემო წელი ათვისებულია სასოფლო სამეურნეო სავარგულებით და საცხოვრებლებით, რაც შეეხება სათავეს ფერდობები დიდი დახრილობისაა და მრავლად გვხვდება ხრამები და მშრალი ხეობები.

მდინარე ფსოუს მარჯვენა მხრიდან უერთდება სულ - 98 შენაკადი აქედან: მუდმივი -63, დროებითი - 35.

მათგან აღსანიშნავია - გლუბოკაია, ვადაპადი და არკვა.

არკვა - სიგრძე 6.5 კმ. მდინარეს მარჯვნიდან უერთდება 4 მუდმივი ნკდი.

ვადაპადი - სათავე 1500 მ, შესართავაი - 440მ, სიგრძე - 6კმ. მარჯვნიდან უერთდება 4 მუდმივი და 4 დროებითი ნაკადი. მარცხნიდან 2 მუდმივი და 7 დროებითი. მდინარის მთელს სიგრძეზე ანთროპოგენური ზემოქმედება არ შეიმჩნევა.

გლუბოვკაია - სათავე - 2020 მ, შესართავი -940 მ, სიგრძე - 3,3 კმ. მარჯვნიდან უერთდება 2 მუდმივი შენაკადი, მარცხნიდან 1. ანთროპოგენური ზემოქმედება მდინარის მთელს სიგრძეზე არ შეინიშნება.

მიუხედავად იმისა, რომ წყალგამყოფი ქედი აფხაზეთის ფარგლებში არც თუ ისე დიდი სიმაღლით გამოირჩევა, აქ კარგად არის განვითარებული მყინვარები. წყალგამყოფი ქედის თხემი ნივალურ ზონაში მდებარეობს - ფირნის ხაზის ზემოთ და მისი მორფოლოგიური თავისებურებები თანამედროვე მყინვარების წარმოქმნისა და არსებობისთვის კარგ პირობას ქმნის. დასავლეთ კავკასიონზე 163 მყინვარია, 68,92 კმ^2 ფართობით. გავრცელებულია მცირე ზომის, კარული ტიპის მყინვარები, მათზე მოდის დასავლეთ კავკასიონის მყინვარების რაოდენობის 75% და ფართობის 45%. ხეობის ტიპის მყინვარების რაოდენობა არის ცხრა. ფართობით და სიგრძით აღსანიშნავია ხეობის და კარული ხეობის ტიპის მყინვარები: სოფრუჯუ, სამხრეთ მარუხი, კლიჩი, საკენი, პტიში, მემული, ჩეპარა და სხვ. ფართობით ყველაზე დიდია კარულ-ხეობის ტიპის მყინვარი სოფრუჯუ - 4.60 კმ^2, სიგრძით კი გამოირჩევა ხეობის ტიპის მყინვარი - მარუხი (3,5 კმ). ხეობის ტიპის მყინვარებმა 1820 წლის შემდეგ უკან დაიხიეს 1,0-1,5 კმ-ით, ხოლო კარული ტიპის მყინვარებმა 300-400 მეტრით. ეს პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

ფირნის ხაზი მდ. ბზიფის აუზის მონაკვეთში 3000 მ-ზე გადის, ხოლო მდ. კოდორის აუზში 3050-3150 მეტრზე. ტიპიური გლაციალური ზონა, რელიეფის დაბალი ჰიფსომეტრიის გამო, დასავლეთ კავკასიონზე თითქმის არ არის გამოხატული.

1.4. ძირითადი ლანდშაფტები

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთის მდ. ფსოუსა და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივ წარმოდგენილია ლანდშაფტთა 2 კლასიდან - 4 ტიპი, 8 ქვეტიპი და 12 გვარი. ქვემოთ მათ განვიხილავთ გვარების დონეზე, ნ. ბერუჩაშვილის რუკის მიხედვით [Беручашвили, 1979].



ნახ. 1.5. ლანდშაფტური რუკა (აფხაზეთის ჩრდ. დასავლეთ საზღვრისპირა მონაკვეთი)

წყარო: ნ.ბერუჩაშვილის ლანდშაფტური რუკა.

ვაკეებისა და მთისწინეთის ბორცვიანი ლანდშაფტები (კლასი), აფხაზეთის ფარგლებში მდებარეობს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ზღვისპირა ზოლში, მდ. ფსოუს ხეობიდან თითქმის ქ. გაგრამდე. აქ შემოდის: ვაკეებისა და მთისწინეთის ბორცვიანი სუბტროპიკული ჰუმიდური (A-ტიპი) და კოლხური ტყის (A1- ქვეტიპი). აღნიშნული ქვეტიპის ფარგლებშია ლანდშაფტის მხოლოდ 1 გვარი (ნახ. 1.5.).

3 - *მთისწინეთის ბორცვიანი ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი ტყეებით წაბლნარებთან კომპლექსში* _ ლანდშაფტის სახელწოდებაა ლესელიძის. გავრცელებულია საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ზღვისპირა ზოლში, მდ. ფსოუს ხეობიდან თითქმის ქ. გაგრამდე. რუსეთის ტერიტორიაზე კი ქ. ტუაფსემდე. ფართობი შეადგენს 0,05 ათას კმ^2. (საქართველს საერთოო ფართობის 0,07%). გავრცელებულია ზღვის დონიდან 0-300 (500) მეტრზე. რელიეფი აკუმულაციურია. კლიამატი სუბტროპიკული ჰუმიდური ზღვიურია. ატმოსფერული ნალექები შეადგენს 1340-1414 მმ-ს. მკაფიოდ არის გამოხატული ნალექების მაქსიმუმი წლის ცივ პერიოდში და მინიმუმი - ზაფხულში. კლიმატური პირობების მიხედვით, საქართველოს ვაკის ლანდშაფტებს შორის, იგი ყველაზე მეტად უახლოვდება ხმელთაშუაზღვიურს. ნიადაგებიდან გავრცელებულია სუბტროპიკული ეწერი. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი დაახლოებით 50 %-ია. გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო და რეკრეაციული მიზნებისთვის.

მთის კლასში შემოდის, მთის ზომიერად თბილი ჰუმიდური (H - ტიპი) და ქვედა მთის ტყის კოლხური (H1 - ქვეტიპი), აღნიშნული ქვეტიპის ფარგლებშია 1 გვარი.

62 - ქვედა მთის კარსტული ლანდშაფტი რცხილნარ-შერეულ მუხნარი ტყეებით თხემებზე და პოლიდომინანტური ფოთლოვანი ტყეებით ხეობებში. ამ ლანდშაფტის სახელწოდებაა - ფსოუ-ამტყელის. გავრცელებულია ვიწრო ზოლის სახით საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრიდან ხობისწყლის ხეობამდე. აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 300 (400) – 600 (750) მ. რელიეფი კარსტულია, დამახასიათებელია ციცაბო ფერდობები. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდურია, ნალექების რაოდენობა-800 მმ წლიურად. ნიადაგებიდან გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული და იშვიათად ტყის ყომრალი. ლანდშაფტი სუსტად და საშუალოდ სახეშეცვლილია, გვხვდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

საშუალო მთის ტყის კოლხური (H2-ქვეტიპი), აღნიშნული ქვეტიპის ფარგლებში შემოდის 3 გვარი.

68 - საშუალო მთის კარსტული რცხილნარ-წიფლნარი და წიფლნარი ტყეებით, მარადმწვანე ქვეტყით ხეობებში. გადაჭიმულია საქართველოს ჩრდილო- დასავლეთიდან

ჩხალთის ქედამდე. ვრცელდება ზღვის დონიდან 700-1600 (1700) მეტრ სიმაღლეზე. გაბატონებულია კარსტული რელლიეფი, ციცაბო ფერდობები ძლიერ დანაწევრებული ეროზიული პროცესებით. გავრცელებულია ზომიერად თბილი ჰუმიდური კლიმატი. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 2280 მმ-ის ტოლია. ნიადაგებიდან გვხვდება სხვადასხვა სიმძლავრის რენძინები, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი ხირხატიანობით. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი უმნიშვნელოა. შეზღუდული გავრცელებით ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

69 - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი და რცხილნარ-წიფლნარი ტყეებით და მარადმწვანე ქვეტყით. მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ჩხალთის ქედიდან თითქმის ენგურის ხეობამდე. მოიცავს მდინარეების კოდორის, ღალიძგის და ოქუმის ხეობებს. ზღვის დონიდან (700) 800 – 1150 (1200) მეტრზე. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია, გაბატონებული ციცაბო ფერდობები. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდურია. ატმოსფერული ნალექები - 1550-1660 მმ. ნიადაგებიდან ვხვდებით ნეშომპალა-კარბონატულ და ყომრალ მჟაე ნიადაგებს, რომლებიც ძლიერ სკელეტოვანი და მსუბუქი თიხნარი მექანიკური შედგენილობით ხასიათდება. ახასიათებს ნიადაგის სუსტად პროფილირებული ჰორიზონტები. სუსტადაა გამოხატული გაეწრების ნიშნები. ანთროპოგენური ტრანსორმაციის ხარისხი უმნიშვნელოა, შეზღუდული რაონენობით ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

70- საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი ტყეებითდა მარადმწვანე ქვეტყით. აფხაზეთის ფარგლებში მდებრეობს კავკაასიონის სამხრეთ ფერდობებზე. აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს (600) 700-1500 (1700) მეტრის ფარგლებში. გვხვდება ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი, გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობები. კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტურია. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა შეადგენს 1100-1300 მმ-ს. ნიადაგებიდან გავრცელებულია ყომრალი მჟავე, მცირე ან საშუალო სიმძლავრის, ფორმირებულია არაკარბონატულ სუბსტრატზე, ხშირად გაეწრებული. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხასიათი არაერთგვაროვანია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ტერიტორიის მხოლოდ 5-10% უკავიათ.

მთის ზომიერად ცივი (T-ტიპი) ლანდშაფტში, შემოდის საშუალო მთის მუქწიწვიანი ტყის (T1- ქვეტიპი), აღნიშნულ ქვეტიპში აფხაზეთის ჩრდ. საზღვრის მიმდებარედ სულ 2 გვარია.

125 - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვიანებითა და მუქწიწვიანებით (აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი) მარადმწვანე ქვეტყით. გავრცელებულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე. მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 (1500) – 1800 (2000) მეტრ სიმაღლეზე. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია, გაბატონებულია ციცაბო და საშუალოდ დახრილი ფერდობები. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური, ზღვიური და სუსტად კონტინენტურია. ატმოსფერული ნალექები - 1500-1700 მმ-ია აფხაზეთის ტერიტორიაზე, ზოგადად 900 მმ-ზე ნაკლები არ დაიკვირვება. გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგები. რაც შეეხება ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას, ქვედა მთის ტყის ლანდშაფტებთან შედარებით ნაკლებათ აქვს შეცვლილი პირვანდელი სახე. თუმცა განაჩეხებზე განვითარებულია ეროზიული პროცესები. ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

126- საშუალო მთის კარსტული ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვიანი და მუქწიწვიანი (აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი), ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით. აფხაზეთის ფარგლებში გავრცელებულია დასავლეთ ნაწილში კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე. ზღ.დ. – 1000 (1500)-1800 (1900) მ სიმაღლეზე. რელიეფი კარსტულია, გაბატონებულია ციცაბო და საშუალონდახრილობის ფერდობები. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური, ზღვიური და კონტინენტურია. ნალექები - 2000 მმ. ნიადაგებიდან გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული, მცირე ან საშუალო სიმძლავრის, ფორმირებული კარბონატულ სუბსტრატზე. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარსხი - მცირეა. ქვედა მთის ტყის ლანდშაფტებთან შედარებით ნაკლებათ აქვს შეცვლილი პირვანდელი სახე.

ზედა მთის ტყის ფიჭვნარი და არყნარი (T2- ქვეტიპი), ამ ქვეტიპში საზღვრის გასწვრივ შემოდის 1 გვარი.

129 _ ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იშვიათად პალეოგლაციალური ლანდ-შაფტი არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და პონტოური მუხის დაბალტანიანი ტყეებით. აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ზღ. დ. 1700 (1900) – 2000 (2200) მეტრზე. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციურია, ზოგან ეროზიულ-აკუმულაციური და პალეოგლაციალური. გაბატონებულია ციცაბო და საშუალო დახრილობის ფერდობები. კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდურია. ნალექების რაოდენობა - 1270 მმ. ნიადაგებიდან ვხვდებით მთა-ტყე-მდელოს ნიადაგს. ანთროპოგენურად ტრანფორმირებულია, ტყის ჭრის, ინტენსიური ძოვებისა და სათიბებად გამოყენების გამო.

მაღალი მთის მდელოს (У-ტიპი), მაღალი მთის სუბალპური ტყე-ბუჩქნარ-მდელოს (У1- ქვეტიპი), ქვეტიპში არის 1 გვარი.

135 _ მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი მაღალბალა-ხოვანი და ხშირბალახოვანი მდელოების კომპლექსით, ბუჩქნარებითა და ტანბრეცილი ტყეებით (წიფლისა და არყის ხის). აფხაზეთის ფარგლებში გავრცელებულია კავკასიონის სამხრეთ უმთავრესად თხემისპირა ფერდობებზე, ზღ. დ.-დან 1800 (2000) - 2200 (2400) მეტრზე. რელიეფი დენუდაციური, პალეოგლაციალური და ეროზიულ-დენუდაციურია. ციცაბო და საშუალოდ დახრილი ფერდობებით. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების კვალი ცირკების, კარების, ტროგების და მორენების სახით. კლიმატი ტიპიური მაღალი მთის, ცივი ჰუმიდური და ზღვიურია. ატმოსფერული ნალექები - 1500-2000 (2700) მმ. გავრცელებულია მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგები. ლანდშაფტი ანთროპოგენურად მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი. ძირითადად გამოიყენება სათიბებად და საძოვრებად. შეზღუდული რაოდენობით ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

მაღალი მთის ალპური ბუჩქნარ-მდელოს (У2- ქვეტიპი)

144 _ მაღალი მთის დენუდაციურ-პალეოგლაციალური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, ხშირად დეკიანებთან კომპლექსში. აფხაზეთის ფარგლებში გავრცელებუ-ლია კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 2200- 2700 მ-ზე. რელიეფი დენუდაციურია. გავრცელებულია ციცაბო ფერდობები ზოგან კლდოვანი ზედაპირებით.

შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები ცირკების, კარების, პატარა ტროგების (სიგრძე 3-4 კმ), მორენების სახით. ხშირია მორენული სერები და ტროგული ხეობები, რომლრბიც ხშირად სახეცვლილია ეგზოგენური პროცესებით. დამახასია-თებელია რელიეფის პერიგლაციალური ფორმები. კლიმატი მკაცრია, ხანგრძლივი ზამთ-რითა და ხანმოკლე ზაფხულით. ნალექების რაოდენობა - 900-1100 მმ თოვლის სახით. ნიადაგებიდან გავრცელებულია მთა-ტყე-მდელოს კორდიანი, რომელიც სუსტი სიმძლავრით ხასიათდება. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი - მნიშვნელოვა-ნია, ძირითადად გამოიყენება საზაფხულო საძოვრებად.

მაღალი მთის სუბნივალური (УЗ- ქვეტიპი)

150 _მაღალი მთის სუბნივალური ლანშაფტი გავრცელებულია აფხაზეთის ფარგლებში კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ქედებსა და მაღალმთიანი მასივების მწვერვალებზე. აბსოლუტური სიმაღლე - 3000 მ-ის ზემოთ მუდმივი თოვლის ხაზამდე. რელიეფისთვის დამახასიატებელია ციცაბო კლდოვანი თხემები, ხსირად რთულად მისაღწევი მწვერვალებით. გვარცელებულია რელიეფის პალეოგლაციალური ფორმები ცირკები, ტროგები, მორენები, ერატული ლოდები. უხვადაა კლდოვანი გაშიშვლებები, ქვის მდინარეები და ქვის „ზღვები“ _ კარკალები. კლიმატი მკაცრი და ცივია. ატმოს-ფერული ნალექები _ 700-1500 მმ. ვხვდებით პრიმიტიულ ნიადაგებს. ანთროპოგენური ცვლილების ხარისხი - თითქმის არ არის, ხელუხლებელია.

152 - მაღალი მთის გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი აფხაზეთის ფარგლებში გავრცელებულია კავკასიონის თხემურ ზოლში და ფრაგმენტების სახით სამხრეთ ფერდობებზე. თითქმის უწყვეტ ზოლადაა გადაჭიმული მდ. ბზიფის ხეობიდან მამი-სონის უღელტეხილამდე. არის მარადი თოვლისა და მყინვარების გავრცელების არეალი. რელიეფისთვის დამახასიათებელია ციცაბო კლდოვანი თხემები, ხშირად რთულად მისაღწევი მწვერვალებთ. კლიმატი მკაცრი და ცივია. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი - თითქმს ხელუხლებელია.

1.5. მოსახლეობა

აფხაზეთის დემოგრაფიული ვითარების შესახებ ინფორმაციის მეტად რთული მოსაპოვებელია. რეალურად დღეს არაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რამ-დენი ადამიანი ცხოვრობს ზუსტი ცნობები არ მოიპოვება.

1989 წლის მონაცემებით აფზახეთის ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: ქართველი, აფხაზი, სომეხი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი, ბელორუსი, ებრაელი, ესტონელი, ოსი, თურქი, მოლდოველი, აზერბაიჯანელი და პოლონელი.

1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა მკვეთრად შეცვალა დემოგრფიული მოვლენები. მოიმატა ადგილობრივ მოსახლეობაში მიგრაციის დონემ. აფხაზეთის ტერიტორიაზე 88,5 %-ით შემცირდა ქართველი მოსახლეობის რაოდენობა. 1989 წლის აღწერით აფხაზეთში სულ 525 061 ადამიანი ცხოვრობდა. მათ შორის ეთნიკურად ქართველი _ 239,9 ათასი (46%), ეთნიკურად აფხაზი - 93,3 ათასი (18%), რუსი - 74,9 ათასი (14%), სომეხი - 76,5 ათასი (15%).

ამის შემდეგ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ აღწერები ჩატარდა 2003 და 2011 წლებში. 2003 წლის მონაცემებით აფხაზთა რაოდენობა შეადგენს 94,6 ათას მცხოვრებს. 2011 წლის მონაცემით კი მათი რაოდენობა 122,1 ათასია, რაც მთლიანი მოსახლეობის 50,8%-ია. ასევე ქართველები 46,5 ათასია (19,3%), სომეხი _ 41.9 ათასი (17.4%), რუსი - 22.1 ათასი (9.2%) და ბერძენი _ 13 ათასი (0.6%). უნდა აღინიშნოს რომ აფხაზეთის არაღია-რებული რესპუბლიკის სტატისტიკის სამსახური ცალ-ცალკე მოიხსენიებს მეგრელს და ქართველს, შესაბამისად მათ ცალკე ჯგუფად გამოყოფს. [დ. ხუნდაძე, 2017]

2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა 243 564 კაცს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 358 კაცით. ბოლო წლების მონაცემებით დადებითი სალდო აღინიშნება აფხაზი ეროვნების მოსახლეობის ზრდის მიმართულებით.

თუმცა წამყვანი უნივერსიტეტების ზოგიერთი მკვლევარი, რომლებიც კავკასიის და აფხაზეთის საკითხებზე მუშაობენ 2011 წლის აღწერას არასანდოდ მიჩნევენ, და მოსახ-ლეობის რაოდენობის გაზვიადებაზე მიუთითებენ. ამის მიზეზად კი ასახელებბენ

აფხაზეთში არსებულ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სამუშაო ძალების ქვეყნიდან გადინებას, აგრეთვე აქ განვითარებულ საომარ მოქმედებებს, სამედიცინო მომსახურების დაბალ დონეს და ცხოვრების მძიმე პირობებს. მაღალია კრიმინალის მაჩვენებელი, აგრეთვე მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი მძიმე ეკოლოგიური ვითარების და სხვა პირობების გამო.

ექსპერტები და დემოგრაფები აქტიურად საუბრობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე. ამის შესახებ საუბრობენ თვითონ არაკონტროლირებად ტერიტორიაზეც, რასაც ცხადყოფს მათი კანონპროექტი აბორტების აკრძალვის თაობაზე. თუმცა აფხაზური წყაროები რომელთა სიზუსტის განსაზღვრა ქართული მხარისთვის შეუძლებელია, იუწყება აფხაზეთში მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. აქედან გამომდინარე დაზუსტებით იმის თქმა დგას თუ არა აფხაზეთი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე შეუძლებელია.

1.6. სამეურნეო საქმიანობა

სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან აფხაზეთში გავრცელებულია მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, აგრეთვე მეფუტკრეობა და მონადირეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მოჰყავდათ: სიმინდი, ღომი, ლობიო, ქერი და მცირე რაოდენობით ხორბალი.

მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მეღვინეობა. მეღვინეობის ძირითად ზონას წარმოადგენდა ბზიფის აუზი, სადაც გავრცელებული იყო ყურძნის 30-ზე მეტი ჯიში. ამერიკული მაღალმოსავლიანი ყურძნის ,,იზაბელას“ შემოტანის შემდეგ XIX საუკუნის ბოლოს, ადგილობრივი ჯიშების გავრცელება შეიზღუდა, ზოგიერთი კი საერთოდ გაქრა.

ხეხილიდან კარგად ხარობს: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, თხილი, კაკალი, ლეღვი, ალუბალი და სხვა. მოჰყავთ ასევე ბოსტნეული კულტურები.

ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო: ბამბა, სელი, კანაფი, თამბაქო, ციტრუსი და ჩაი.

რაც შეეხება მეცხოველეობას აფხაზეთში ჰყავდათ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძროხა, კამეჩი, თხა, ცხვარი), აგრეთვე ცხენი, სახედარი და ჯორი. ისლამის გავრცელებამდე ფართოდ მისდევდნენ მეღორეობასაც, ისლამის გავრცელების შემდეგ მეღორეობა უფრო აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში შემორჩა. გაზაფხულსა და ზაფხულში მსხვილფეხა რქოსან საქონელს მთაში მიერეკებოდნენ, ზაფხულის საძოვრებზე. ზაფხულის საძოვრებად იყენებდნენ კავკასიონის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ფერდობებს. შემოდგომასა და ზამთარში იყენებდნენ ზღვისპირა და მთისწინა ზოლში არსებულ საძოვრებს.

XIX საუკუნეში გარკვეულ როლს ასრულებდა საზღვაო რეწვა. კერძოდ ნადირობდნენ დელფინებზე, რომლის ქონს ჰყიდდნენ ბერძენ და თურქ ვაჭრებზე. დელფინზე სანადიროდ აფხაზები გადიოდნენ მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით, რომელიც არ თუ ისე სანდო იყო, ზოგჯერ დახოცილი თევზის წონას ვერ უძლებდნენ.

1.7. ადმინისტრაციიული მოწყობა

აფხაზეთის სამთავრო რუსეთს მიუერთდა 1810 წელს. 1864 წელს რუსეთმა გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და მას სოხუმის სამხედრო განყოფილება უწოდა. 1883 წელს გააუქმეს სოხუმის სამხედრო განყოფილება და ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში შეიქმნა სოხუმის ოკრუგი. 1896 წელს ტერიტორია მოექცა ახლადჩამოყალიბებული შავი ზღვის გუბერნიის ფარგლებში სამი ადმინისტრაციული ერთეულით - სოჭის, ტუაფსეს და ნოვოროსიისკის ოლქით. გუბერნიის ცენტრი - ქ. ნოვოროსიისკი.

1917-1921 წლებში აფხაზეთი შედგებოდა ყოფილი რუსეთის ორი ადმინისტრა-ციული ერთეულისაგან - სოჭის და სოხუმის ოკრუგებისგან.

1919 წლის მაისში განხორციელდა ცვლილებები აფხაზეთის ავტონომიის მმართვე-ლობის სისტემაში. შეიქმნა აფხაზეთის მთავრობა _ კომისარიატი.

1919 წელს სოხუმის ოლქს ეწოდა აფხაზეთი, ხოლო ოლქის უბნებს მაზრები.

1921 წელის 4 მარტს დამყარდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი.

1921 წლის 31 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის სსრ-ს შექმნა. 16 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება აფხაზთის სსრ-ს და საქართველოს შორის, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ფაქტობრივად შევიდა საქართველოს შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულ იქნა ავტონომიურ რესპუბლიკად.

1926 წლის 5 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ-ს კონსტიტუცია, რომელშიც დაფიქსირებულ იქნა, რომ აფხაზეთის სსრ სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სსრ-ში და შესაბამისად ამიერკავკასიის სფსრ-ში. კონსტიტუცია დამტკიცდა 1927 წლის 23 აპრილს. 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებით აფხაზეთის სსრ-მ მიიღო ავტონომიის სტატუსი და დარჩა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, როგორც აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფხაზეთის ასსრ (1931-1990) შედგებოდა 5 ადმინისტრაციული რაიონისაგან: გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის და სოხუმის. ასევე 1 გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია, 6 ქალაქი (გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი) და 4 დაბა (ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში). 1994 წელს ოჩამჩირისა და გალის რაიონის ხარჯზე შეიქმნა ახალი ტყვარჩელის რაიონი.

1992-1993 წლიდან აფხაზეთში დამყარდა სეპარატისტული რეჟიმი.

ამჟამად აფხაზეთი შეგება 7 მუნიციპალიტეტისგან, ესენია: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის და სოხუმის. ქალაქი _ 7: ახალი ათონი, გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი. დაბა _ 5: ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში, ლესელიძე, მიუსერა. სოფელი _ 514.

რაც შეეხება ადგილობრივ მმართველობას დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (საკანონმდებლო ორგანო) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო (აღმასრულებელი ორგანო), რომლებიც 1993 წლიდან ქალაქ თბილისშია განთავსებული.

თავი II. საზღვრის ისტორიული ცვლილებები

2.1. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სოჭი-ტუაფსეს რაიონი, როგორც ცნობილია, ოდითგანვე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ისტორიიდან ცნობილია რომ საქართველოს ტერიტორია ჩრდილოდასავლეთიდან _ ნიკოფსიიდან იწყებოდა. ნიკოფსია თანამედროვე ქ. ტუაფსესთან ახლოს მდებარეობდა [ბერაძე, 1984]. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიულ საზღვარს I საუკუნესა და 1783 წლის მდგომარეობით ნიკოფსიდან გაცილებით ჩრდილოდასავლეთით ატარებდა [ჯავახიშვილი, 1923]. თუმცა რუკაზე არ არის მითითებული ზუსტად სად ატარებდა იგი საზღვარს. მიუხედავად ამისა, ჰიდროგრაფიული ქსელის მიხედვით ლოკალიზაციის დადგენა შესაძლებელია (ნახ. 2.1).

ნახ. 2.1. ფრაგმენტი ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკიდან“ (1919 წ.)

რუკის მიხედვით საქართველოს საზღვარი იწყება შავ ზღვასთან ა.გ. 9°12‘-დან (ათვლილი პულკოვოს მერიდიანიდან). რაკი პულკოვოსა და გრინვიჩის მერიდიანებს შორის სხვაობა 30°19‘34‘‘-ია, თანამედროვე საკოორდინატო სისტემით საზღვრის ეს მონაკვეთი იწყება ა.გ. 39°31‘-ზე (ჩ.გ. 43°43), იგი ემთხვევა ქ. სოჭის ცენტრიდან ჩრდილოდასავლეთით 40 კმ მანძილზე მდებარე ვარდანეს მიკრორაიონს (ადმინისტრაციულად

ეკუთვნის ქ. სოჭს). ამ ადგილას მდ. ბუუ ერთვის შავ ზღვას [ნიკოლაიშვილი, სართანია, 2018].

,,აფხაზეთი ისტორიულად რამდენიმე რეგიონად იყოფოდა (ისინი დაახლოებით ესადაგება ფრჩხილებში მითითებულ რაიონებს): საძენი - (გაგრის მუნიციპალიტეტი და სოჭის რეგიონი, რომელიც ამჟამად რუსეთშია), ბზიფი - (გუდაუთის რაიონი), გუმაა - (სოხუმის რაიონი), აბჟუა - (ოჩამჩირისა და გალის რაიონები), სამურზაყანო - (გალის რაიონი), დალ-ცაბალი - (გულრიფშის რაიონი)“ [ინტერნეტრესურსი, Wikipedia.org].

მას შემდეგ, რეგიონში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შედეგად, საქართველოს საზღვრები არაერთხელ შეიცვალა. გამონაკლისი არც ეს მოანკვეთი იყო. უკვე XVI საუკუნის I ნახევარში საზღვარმა აქ ქვეყნის სიღრმისაკენ გადმოიწია და მან მდინარეების კუდეფსთისა და მზიმთის წყალგამყოფზე გაიარა (ნახ. 2.2). ვითარება იცვლება შემდეგ საუკუნეებშიც.



ნახ. 2.2. ფრაგმენტი მ. ბერძენიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიერ შედგენილი რუკიდან „საქართველო XVI საუკუნის პირველ ნახევარში“

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის მიხედვით, XVIII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი გავლებულია მდ. კაპოეტისწყალზე (ნახ. 2.3). თუმცა ცნობილია, რომ მდ. ბზიფის ისტორიული სახელოწდებაა კაპოეტისწყალი [აფხაზავა, 1977].

ვახუშტის ისტორიული აღწერების მიხედვით შესაძლებელია დავადგინოთ იმდროინდელი საქართველოს უკიდურესი წერტილებიც: უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი მდებარეობდა ცაილახანის მთაზე (3546 მ.) ჩ.გ. 41°12’3, ა.გ. 47°21’30, უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი _ აუზბაშის უღელტეხილზე _ ჩ.გ. 43047’, ა.გ. 42025’, უკიდურესი

სამხრეთი წერტილი _ მ. ყარაგაპაზარზე (3133 მ) _ ჩ.გ. 40⁰28’, ა.გ. 41⁰34’ ხოლო უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი წერტილი ნიკოფსიის მიდამოებში _ ჩ.გ. 43⁰58’, ა.გ. 39⁰13’. საქართველოს ფართობი ამ საზღვრებში 134 ათას კმ²-ს შეადგენს, რაც დღევანდელ ფართობზე თითქმის 2-ჯერ მეტია [ლუკიანოვიჩი, 2015].



ნახ. 2.3. ფრაგმენტი ვახუშტი ბაგრატიონის რუკიდან (1745 წ.)

XIX საუკუნეში, როდესაც კავკასიაში რუსეთი გაბატონდა, აქ შეიქმნა შავი ზღვის ოკრუგი (ოლქი). უფრო მოგვიანებით, 1896 წლის მაისში, მეფის ბრძანებით ეს ტერიტორია მოექცა ახლადჩამოყალიბებული შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში, რომელშიც შედიოდა 3 ადმინისტრაციული ერთეულით _ სოჭის, ტუაფსესა და ნოვოროსიისკის ოლქები (ოკრუგები). გუბერნიის ცენტრი იყო ნოვოროსიისკი, ხოლო გუბერნიის სამხრეთ ადმინსტრაციულმა საზღვარმა სოხუმის ოკრუგთან (საქართველოსთან) მდ. მზიმთაზე გაიარა.

1904 წლის 25 თებერვალს საზღვარმა კიდევ უფრო სამხრეთით გადმოწია. შავი ზღვის გუბერნიას შეუერთეს სოხუმის ოკრუგის ნაწილი _ გაგრის კლიმატური სადგურის მიმდებარე ტერიტორია, სულ 150 ათასამდე დესეტინა მიწა (163,5 ათ. ჰა) ტყეებითა და ალპური საძოვრებითურთ. საზღვრის ცვლილება დაკავშირებულლი იყო, გაგრის კლიმატური სადგურის დამაარსებლის პრინც ალექსანდრ ოლდენბურგის სახელთან. ეს მდგომარეობა 1917 წლამდე შენარჩუნდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კავკასიის სამეფისნაცვლოში ძალაუფლება ხელში აიღო ე.წ. «ოზაკომ»-მა (ОЗАКОМ _ Особый Закавказский Комитет). ამ ორგანოში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქართველი პოლიტიკოსები, ამიტომ მათ 1917

წლის 30 ოქტომბერს, სოხუმის ოკრუგის გლეხთა დეპუტატების აღმასკომისა და ადგილობრივი მეტყევეების შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც მხარს უჭერდნენ ძველი გაგრისა და სოფ. ალახაძის მცხოვრებნი, აღადგინეს ადმინისტრაციული საზღვრის ძველი, 1904 წლამდე არსებული მდგომარეობა. დადგენილებას ხელი მოაწერა «ოზაკომ»-ის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა.

1918 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე პავლე ინგოროყვამ განსახილველად წარმოადგინა სახელმწიფო საზღვრების აღწერა [კილაძე, 2007].

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ახალი სიმწვავით დადგა ქვეყნის საზღვრების საკითხი, რომელსაც დაცვა სჭირდებოდა არა მარტო საერთაშორისო ასპარეზე, არამედ პრაქტიკულადაც. ქვეყნის იმდროინდელი ხელმძღვანელობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და ქართული გვარდიის სამხედრო მოქმედებებმა განსაზღვრა საქართველოსა და რუსეთს შორის თანამედროვე სახელმწიფო საზღვარი, აფხაზეთის მონაკვეთზე. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის წარმოჩენაც, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა იმ პერიოდში და საბოლოოდ, როგორ ჩამოყალიბდა სახელმწიფო საზღვარი.

1918 წლის მარტში გუდაუთის მაზრაში აფხაზმა ბოლშევიკებმა (ნ. ლაკობა, ე. ეშბა), საბაბად გამოიყენეს მიწის რეფორმა და ადგილობრივი გლეხების ნაწილი ააჯანყეს ამიერკავკასიის სეიმისა (პარლამენტის) მთავრობის წინააღმდეგ. გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, ჩამოაყალიბეს რევკომი და საბჭოთა რუსეთთან შეერთების სურვილიც კი გამოთქვეს. გლეხთა რაზმმა, ჩრდილოკავკასიელ კომუნისტებთან ერთად, 26 მარტს დაიკავეს ქ. სოხუმი, 8 მაისს კი ქალაქ სოხუმის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა რუსეთთან შეერთების თაობაზე. აფხაზი ბოლშევიკების ლოზუნგს _ «მიწა გლეხებს», წამოეგო სამურზაყანოს (გალის მაზრის) გლეხობის ნაწილიც, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნით, ამიერკავკასიის სეიმმა კი გადაწყვეტილება მიიღო სოხუმის ოკრუგში წესრიგი დაემყარებინა. აფხაზთა სახალხო საბჭო (რომლის წევრებიც იყვნენ თავადები ალ. შერვაშიძე, ტ. მარშანია და სხვები), არც თბილისისადმი დაქვემდებარების მომხრე იყო [კილაძე, 2007.].

16 მაისს ქართულმა გვარდიამ გაათავისუფლა გუდაუთა და ახალი ათონი, თუმცა დუშეთის მაზრაში მიმდინარე აჯანყების გამო, გვარდიის ნაწილები უკან გაიწვიეს. მცირერიცხოვანი გარნიზონი კი ვერ გაუმკლავდა ბოლშევიკურ რაზმებს. მცირეხნიანი წარმატებების მიუხედავად, ქართულ გავრდიას უკან დახევა მაინც მოუწია.

22 ივნისს ქართულმა სამხედრო ძალებმა მტრისგან გაათავისუფლეს გუდაუთა, 28 ივნისს - გაგრა, გადალახეს მდ. მეხადირი და შევიდნენ პილენკოვოში (დღევანდელი განთიადი) და მიადგნენ მდ. ფსოუს - სოჭის ოლქის საზღვარს.

1918 წლის ივნისში ქართულმა გვარდიამ წარმატებული დარტყმა მიაყენა რუსეთიდან შემოჭრილ ძალებს და 29 ივნისს დაიკავა ადლერი, 5 ივლისს _ ხოსტა, 6 ივლისს _ სოჭი, 26 ივლისს _ ტუაფსე. თუმცა ეს წარმატებები დროებითი იყო.

ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა გამოთქვეს სურვილი საქართველოს მთავ-რობას სპეციალური დეკრეტით დაუყოვნებლივ გაეფორმებინა სოჭის ოლქის დროებითი მიერთება... [ამიერკავკასიისა და საქართველოს...,1919, გვ. 389]. მსგავსი რეზოლუციები მიიღეს აგრეთვე სოჭის მოსახლეობის საერთო კრებაზე 20 სექტემბერს და უფრო მოგვიანებით, ოლქის გლეხთა ყრილობაზეც.

1918 წლის 25 სექტემბერს ეკატერინოდარში ჩატარებულ ყრილობაზე ანტონ დენი-კინმა მოითხოვა სოჭისა და გაგრის ოლქების ქართველებისაგან დაცლა _ მდ. ბზიფამდე, ვინაიდან აქ რუსეთს დიდი ფული აქვს დახარჯული მის განვითარებაზეო. დენიკინმა ყუბანის მთავრობას აუკრძალა საქართველოსთან ვაჭრობა. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

საქართველოში უფრო და უფრო მწვავდებოდა ეკონომიკური კრიზისი, სახელმწიფოს ძალა აღარ შესწევდა დაკავებული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, უფრო მეტიც, არსებობდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების განაპირა ტერიტორიების დაკარგვის საფრთხეც.

1919 წლის 29 იანვარს მოვლენები სწრაფად განვითარდა, „დენიკინელებმა“ დაიკავეს ადლერი, ვესიოლოე, პილენკოვო, გაგრა და მდ. ბზიფთან გაჩერდნენ, ე.ი. აღადგინეს 1904 წელს დადგენილი ადმინისტრაციული საზღვარი. ქართველებმა დახმარება სთხოვეს ბრიტანეთს, თუმცა უშედეგოდ. სწორედ ამიტომ 16 აპრილს ქართველებმა შეუტიეს

თეთრ გვარდიელებს და კვლავ დაიკავეს გაგრა. 18 აპრილს გადალახეს მდ. მეხადირი. ამ დროს ბრიტანელები იუწყებოდნენ რომ მზად იყვნენ საზღვრის სადემარკაციო ხაზის გასატარებლად მდ. ბზიფთან და ამიტომ ქართველებს უკან უნდა დაეხიათ. მდ. მზიმ-თამდე მიღწეულ ქართველთა ჯარს უკან დახევა მოუწია. ეს ტერიტორია ბრიტანელმა სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს და მდინარეების _ მეხადირსა და ბზიფს შორის, შეიქმნა ნეიტრალური ზონა.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წ.) ქართულმა დელეგაციამ ანტანტის წევრ ქვეყნებს წარუდგინა მოთხოვნები საზღვრის დადგენის შესახებ, სოჭის ოლქში საზღვარს უნდა გაევლო ტუაფსედან 14 კილომეტრში მდ. მაკოფსეზე, თუმცა საქართ-ველოს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

1920 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ჩრდილო კავკასიაში გაანადგურა დენიკინის მოხალისეთა არმია და სოჭი-ადლერი დაიკავა. ბრიტანეთი დენიკინის დამარცხების შემდეგ ამ რაიონის ბედით აღარ დაინტერესებულა. საქართვე-ლო იძულებული გახდა ხელი აეღო ტერიტორიულ პრეტენზიებზე სოჭის ოლქის მიმართ. ორ სახელმწიფოს შორის საზღვრად მდ. ფსოუ განისაზღვრა, თუმცა ბოლშევიკებმა დრო იხელთეს და მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს. სანამ სადემარკაციო კომისია საზღვარს დააზუსტებდა, მდ. მეხადირსა და ფსოუს შორის არსებული ტერი-ტორია დემარკირებულად გამოაცხადეს.

1918-1919 წლებში სოჭის ოლქს საქართველო აკონტროლებდა, მაგრამ უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, აგრეთვე, საერთაშორისო კონიუნქტურის გამო, მთავრობამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მისი შენარჩუნება ვერ შეძლო, იძულებული გახდა ეს ტერიტორია ბრძოლებით დაეტოვებინა. 1920 წელს ოლქი რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა. საქართველოს აღარ შეეძლო ომის წარმოება საბჭოთა რუსეთთან სოჭის ოლქის გამო და საბოლოოდ, 1920 წლის მაისის საქართველო-საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, დე ფაქტო არსებული ვითარება დე იურე გაფორმდა _ სოჭის ოლქი რუსეთს გადაეცა.

2.2. საბჭოთა და პოსტსაბჭთა პერიოდები

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგ, ერთმანეთს უკვე რუსი და აფხაზი კომუნისტები დაუპირისპირდნენ. სადავო გახდა მდინარეებს _ მეხადირსა და ფსოუს შორის არსებული პილენკოვოს რაიონის კუთვნილება.

1921 წელს საზღვარი გადიოდა მდ. ხოლოდნაია რეჩკაზე, შემდგომ ადიოდა წყალ-გამყოფ თხემზე, მ. არაბიკის (2656 მ) გავლით მიუყვებოდა გაგრის ქედს მ. აგეფსთამდე (3256 მ), შემდეგ მიუყვებოდა აცეტუკას ქედს, კვეთდა ახუნდარას (2072 მ) უღელტეხილს და ადიოდა მთავარ წყალგამყოფ ქედზე.

საზღვრის იგივე კონტურებია დატანილი 1930-1931 წლის საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკების რუკებზე [ლუკიანოვიჩი, 2015].

შემდგომ, საქართველოს მოთხოვნით, საზღვარი გადაიწია მდ. ფსოუზე. თუმცა საზღვრის ეს ცვლილება მოხდა უბრალო აქტით, ყოველგვარი სადემარკაციო და სადელიმიტაციო შეთანხმების გარეშე [ლუკიანოვიჩი, 2015].

1931 წლებში აფხაზეთის სსრ გარდაიქმნა აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (აფხაზეთის ასსრ), საქართველოს შემადგენლობაში, და იარსება 1990 წლამდე.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი აფხაზეთის სხვა მონაკვეთზე, ვინაიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს მიუყვებოდა, შედარებით სტაბილურობით ხასიათდებუდა, თუმცა 1943 წლის 12 ოქტომბრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის ბრძანებით გაუქმდა ყარაჩაის ავტონომიური ოლქი, მისი ტერიტორიები მეზობელ სახელმწიფოებს გადაუნაწილდა. ტერიტორიების გადანაწილების შედეგად საქართვე-ლოს შემოუერთდა უჩკულუნისა და მიქოიანის რაიონების ნაწილები (ნახ. 2.4.) ამ ტერიტორიაზე შექმნეს ქლუხორის რაიონი. ადმინისტრაციული ცენტრი იყო მიქოიან-შახარი, შემდგომში მას სახელწოდება შეუცვალეს და ქლუხორი უწოდეს.



ნახ. 2.4. ფრაგმენტი „საქართველოს ადმინისტრაციული რუკიდან“ (1952 წ.)

შეიცვალა საზღვარი რსფსრსა და საქართველოს შორის: დასავლეთით იგი ემთხვეოდა მიქოიანის რაიონის საზღვარს, აღმოსავლეთით საზღვრის ხაზი გავლებულ იქნა ქლუხორის ჩრდილოეთით, შემდეგ იგი მდ. მარათი მიემართებოდა სოფ. ქვემო მარასაკენ. ეს სოფელი რჩებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ და საზღვარი გადიოდა უჩკულანის რაიონის საზღვარზე (სოფ. ზემო მარას სამხრეთით), სამხრეთის მიმართულებით კი საზღვრის ხაზი დაამთხვიეს უჩკულანის რაიონის საზღვარს. მთლიანად, აღნიშნული ტერიტორიის შემოერთებით საქართველოს შეემატა 3592,8 კმ^2 ფართობის ტერიტორია.

1955 წლის 28 ივნისის სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრძანებულებით ქლუხორის რაიონი გამოეყო საქართველოს და გადაეცა რსფსრ-ს.

1992-1993 წლებში აფხაზეთში მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი. 1992 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამყარებულია სეპარატისტული რეჟიმი. აფხაზეთმა გამოაცხადა ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა. მისი დამოუკიდებლობა აღიარებულია მხოლოდ რუსეთის, ნიკარაგუას, ვენესუელას, ნაურუს და ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის, ე.წ. „სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის“ და ე.წ. „დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ მიერ. დანარჩენი სახელმწიფოები არ აღიარებენ მის დამოუკიდებლობას და იურიუდიულად განიხილავენ საქართველოს განუყოფელ ნაწილად. სეპარატისტებმა მდ. ენგურზე გაავლეს საზღვარი.

2.3. საზღვრისპირა რაიონების დემოგრაფიული ვითარება

აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ აქ ოდითგანვე ქართველებით იყო დასახლებული. თუმცა საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა დემოგრაფიული ვითარება. ეს ცვლილებები განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა გვიანდელ შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის იმპერიის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ საგრძნობლად შეცვალა მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური სტრუქტურა. მიუხედაავდ ამისა, მთელი XX საუკუნე, 1990-იანი წლების შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ქართველები უმრავლესობას შეადგენდნენ (ნახ. 2.5).



ნახ. 2.5. აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა 1926 და 1989 წლებში

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ნაშრომში განხილული გვაქვს მხოლოდ საზღვრისპირა რაიონების დემოგრაფიული ვითარება, რომელიც ასევე დიდ ცვლილებებს განიცდიდა ისტორიულად.

ქ. ტუაფსე და ტუაფსეს ოლქი (ფართობი 1561 კვადრატული ვერსი) 1918 წლისათვის ძირითადად სავაჭრო-საკურორტო და სასოფლო-სამეურნეო რაიონი იყო. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1902 წლიდან დაიწყო. ეკონომიკური წინსვლა დააჩქარა 1913 წელს ეკატერინოდარ (კრასნოდარ)-არმავირ-ტუაფსეს სარკინიგზო ხაზის ამოქმედებამ. ქალაქში ცხოვრობდა 20 ათასი ადამიანი, აქედან ნახევარი რუსი იყო, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. სოჭთან შედარებით ტუაფსეს ოლქში ქართველების რაოდენობა შედარებით მცირე იყო, დაახლოებით 800 კაცი 35 ათასიდან.

მარცხენა სანაპირო	მოს. რაოდენობა (კომლი)	მარჯვენა სანაპირო	მოს. რაოდენობა (კომლი)
აიბგა 5	25	აიბგა 2/55	2
აიბგა 3/54	25	აიბგა 1/51 (თ.ც.)	
აიბგა 4/56	18	ვესელოე	126
სალხინო (თ.ც.)	147	ერმოლოვკა	110
სულევო	232	ნიჟნიე-შილოვსკოე	250
სალმე	350		
კულთუბანი	109		
ლესელიძე (თ.ც.)	630		

ცხრ. 2.1. მოსახლეობის რაოდენობა მდ. ფსოუს აუზში (1958 წლის ტოპორუკის მიხედვით)

მოსახლეობის საერთო რაოდენობა მარცხენა სანაპიროზე - 1536 კომლი, მარჯვენა სანაპიროზე - 488 კომლი. მოსახლეობა სულ - 2024 კომლი (1958 წ). სიმჭიდროვე მდინარის აუზში - 0,2 კომლი კმ.კვ-ზე. მჭდროდ დასახლებულია მდინარის ქვემო და შუა წელის მიმდებარე ტერიტორიები.

საქართველო-რუსეთის საზღვრისპირა ზოლში 1989 წლის მონაცმებით ცხოვრობდა 72410 ადამიანი. მდ ფსოუსა და შავი ზღვისპირა სასაზღვრო ზოლში მოქცეულია 14 დასახლებული პუნქტი, მოსახლეობის საერთო რაოდენობაა - 13287 კაცი (1989 წ.), 1926 წლის მონაცემთან (6556 კაცი) შედარებით მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია 2-ჯერ. სოფლები ძირითადად განლაგებილია შავი ზღვის პირას და მდ. ფსოუს ხეობაში. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა საკურორტო მომსახურებაა, ასევე ეწევიან სუბტრო-პიკულ მცენარეთა მოყვანას.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ჭრელია. სომხები - 41,7 %, რუსები - 25 %, ქართველები - 22,2 %, დაბალია აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილი - 3,2 %. ამ ტერიტორიების ძველ მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკებზე დასახლებულ პუნქ-ტებთან მინიშნებულია კომლთა რაოდენობა და მასთან ერთად ,,A" რაც აფხაზ (Генеральная карта Абхазии, 1:210000, 1830г.; Отчётная карта съёмки общества Джигет и Аибг. До реки Мзымты, 1:84000, 1864г.) მოსახლეობას ნიშნავს. XIX საუკუნის I ნახევრის შემდეგ შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკებზე კი უკვე ვხვდებით შემდეგ აღნისვნებს ,,Ар" - სომეხი და ,,Р" - რუსი (Топографическая карта, XVII-17, 1903.), რაც გულისხმობს, რომ XIX საუკუნის I ნახევრიდან ამ ტერიტორიაზე რუსი და სომეხი მოსახლეობა დასახლდა.

1992-1993 წლებში მომხდარი შეიარარებული კონფლიქტის გამო აფხაზეთიდან 300 000 ადამიანი გამოიდევნა, ხოლო 15 000 დაიღუპა.

აიბგა _ აფხაზეთის, ერთ-ერთი სუბეთნოსი, ტომია, რომელიც სოფ. აიბგასა და მიმდე-ბარე არეალში იყვნენ განსახლებულნი. წარსულში აქ ცხოვრობდნენ ადიღურ-აფხაზურ-აბაზთა შერეული ტომი. ფ. ტორნაუს ინფორმაციით 1835-38 წლებში 180-მდე ოჯახი ცხოვრობდა. 1877 წლამდე ტომი აიბგა ცხოვრობდა აქ და მეზობელ 4 სოფელში (სავარაუდოდ, მარშანია, ვახოხი, ტლაბოგი და კოტა). სხვადასხვა წყაროში ისინი მოიხსენიებიან ჩერქეზებად ან ადიღეებად (ფართო მნიშვნელობით).

რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მოსახლეობა თითქმის მთლიანად განადგურდა (დამსჯელ მეომართა მე-2 რაზმის მიერ). ქალები და ბავშვები გადასახლდნენ სოფ. ოთხარაში (გუდაუთის რ.ნ.). აიბგის შთამომავლები ატარებენ გვარს _ აიბა. საუბრობენ აფხაზური ენის დიალექტზე, რომელსაც ბევრი აქვს ნასესხები აბაზური და უბიხური ენებიდან. შემდგომში სოფ. აიბგაში დასახლდა სლავური წარმოშობის მოსახლეობა: ბელარუსები, უკრაინელები, ყუბანელები და ესტონელები.

2.4. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი სამართლებრივი დოკუმენტებისა და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით

სახელწოდება „აიბგა“ ძველია და მომდინარეობს ერთიანი ადიღური ენის საწყისები-დან: „აი“ – სახიფათო „Бг(а)“ – სიმაღლე, მაღლობი. ე.ი. „სახიფათო მთა“. სოფ. აიბგა მდებარეობს მდინარე ფსოუს ზემო წელში, მის ორივე ნაპირზე. 1960 წელს შედგენილი და შემდგომ უკვე 1980 წელს განახლებული ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით (მასშტაბები 1:100,000 და 1:25,000) სოფელი აიბგა 5 უბანს მოიცავს. აქედან 3 უბანი მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს, საქართველოს (გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი მდ.ფსოუს მარჯვენა მხარეს რუსეთის (ადლერის რაიონი) ფარგლებში მდებარეობს (ნახ 2.6.) სოფლის ხუთივე უბნის საერთო ფართობი დაახლოებით 15.5 ათასი ჰექტარია (Черемных, 2012).

„აიბგის # 1 და # 2 უბნები მდებარეობს მდ.ფსოუს მარჯვენა შენაკადების ვოდოპადისა და მენდელიხის ხეობებს შორის. **აიბგის უბანი # 1** (პარალელური სახელები: აიბა; აიბგა პირველი) მდებარეობს მდ. ფსოუს მარჯვენა სანაპიროზე, ადლერიდან (რუსეთი)

მომავალ საავტომობილო გზის გასწვრივ. ადლერის რაიონის ყველაზე შორეული და ძნელად მისასვლელი ადგილი, ოდითგანვე იყო სოფელ აიბგის ყველაზე დიდი განაშენიანებული დასახლება. ოფიციალური მონაცემებით ამჟამად სოფლის ერთადერთი დასახლებული უბანიცაა. ხელუხლებელი ლანდშაფტების ფართო გავრცელების გამო ტურიზმის განვითარების მაღალი პერსპექტივა აქვს. დაგეგმილია სამთო კურორტის მშენებლობაც. თუმცა უკანასკნელ წლებში არაერთ წყაროშია აღნიშნული ტყის დეგრადაციის ფაქტები. მაგალითად, მსხლის უზარმაზარი და ძლიერ მაღალპროდუქტიული კორომები 1993 წლიდან ინტენსიურად იჭრება. ნადგურდება ძვირფასმერქნიანი ჯიშებიც (Охрана дикой..., 1999; Абхазская компания в 2007..., Правительство предоставило..., ინტერნეტ მასალები). სოფელში ცუდი ინფრასტრუქტუ-რაა, ცუდადაა უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით, მწყობრიდანაა გამოსული საავტომობილო გზები. **აიბგის უბანი # 2** (აიბგა), მდებარე მდ. ბელაია მიანკასა და მდ. ფსოუს სხვა მცირე მარჯვენა შენაკადების ნაპირებზე, ყველაზე მცირედ განაშენიანებული ტერიტორია იყო ყოველთვის. **აიბგის უბანი # 3** (აიბგა; აიბგის ნაკვეთი # 3; აიბგის ნაკვეთის # 3-54)მდებარეობს მდ. კატარხის, იგივე ბეშის მარცხენა (ფსოუს მარცხენა შენაკადი) ნაპირას. მდინარის მეორე მხარეს კი **აიბგის უბანი # 4** (აიბგა; აიბგის უბანი # 4-56) მდებარეობს (ფსოუს მარცხენა შენაკადი), 160 კმ^2 ფართობზე. აქ არის მიტოვებული შახტა, სადაც ადრე მძიმე ლითონებს მოიპოვებდნენ. 1990-იან წლებში სოფლის ეს უბანი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა, უკანასკნელ წლებში კი სწორედ ეს უბანი გახდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის სადავო. **აიბგის უბანი # 5** (აიბგა) ჰიფსომეტრულად ყველაზე მაღლა მდებარეობს. 1990-იან წლებში აქ, უროჩიშჩე კაზაჩაია პოლიანაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მარმარილოს მოპოვება. 2007 წლიდან აქ განახლდა გაბროს მოპოვება (Абхазская компани..., 2006; Правительство предоставило..., 2006).“ [ნიკოლაიშვილი, თოლორადვა, 2013].



ნახ. 2.6. სოფელ აიბგის ადგილმდებარეობა
(1970-80-iani wlebis topografiuli rukebis mixedviT) [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013]

ძვ.წ. VI-III საუკუნეებში სახელმწიფო საზღვრის აიბგის მონაკვეთი ისტორიული რუკების მიხედვით ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს შემადგენლობაშია. ასევე ეგრისის სამეფოს შემადგენლობაშია ჩრდ. დასავლეთით მდებარე ვრცელი ტერიტორია (ეს ტერიტოორია მოიცავს მონაკვეთს მდ. შახის ხეობამდე). ისევე როგორც დღეს მაშინაც საზღვარი მიუყვებოდა აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს, თუმცა მთავარი განსხვავება ისაა, რომ იგი არ ეშვებოდა მდ. ფსოუს ზემო წელის ხეობისაკენ, არამედ მთავარი ქედის თხემს გაცილებით დასავლეთით გასდევდა, სავარაუდოდ მ. ავადჰარადან (2960,7 მ) მ. ფიშტამდე (2867 მ).

ძვ.წ. II-I საუკუნეებში იგი ჰენიოხების კუთვნილებაში მოექცა.

ახ. წ. III-IV სს-ში XV-ის II ნახევარსა და XVI ს-ში იგი სანიგების საკუთრებაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი ისტორიის უმეტეს პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს, ან მისი სამეფო-სამთავროს/საერისთვოს - აფხაზეთის შემადგენლობაშია.

XVI საუკუნეში აბაზ მთიელთა შორის სახელდება ტომი, ან თემი აიბგა (Очерки из истории Грузии, 2009) რომლებიც დასახლებულნი არიან მდინარეების მზიმთისა და ბზიფის აუზებში. ეს, ერთის მხრივ, მიგვანიშნებს სოფლის არასლავურ დასახლებაზე, ხოლო მეორეს მხრივ, მისი დასახელების ეთნონიმურ წარმომავლობაზე.

XIX საუკუნეში სოფელი ეკუთვნის შავი ზღვის ოკრუგს (რუსეთის შემადგენლობაშია). რუსეთის იმპერიაში შესვლამდე აქ მდებარეობდა აფხაზი მთავრების კუთვნილებაში არსებული სოფელი აიბოგა, აიბაგა [Абхазия и абхазы..., Берже, 1858; Званба, 1982].

1864 წელს სოფლის სიახლოვეს, დღევანდელ კრასნაია პოლიანასთან (ადრინდელი ართქუაჯი, რომანოვსკი, კბაადე - მდ.მზიმთის შუა წელი, კრასნოდარის მხარე, რუსეთი) გაიმართა ბრძოლა ჩერქეზებსა და მეფის მებრძოლებს შორის, ჩერქეზების მარცხის შემდეგ გამოიცა მმართველი სენატის უმაღლესი ბრძანებულება (Высошайший Указ Правительствующего Сената, 1869) სოფლის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. სწორედ ამ დოკუმენტშია მოხსენიებული აიბგაც, სადაც ვკითხულობთ, რომ კავკასიის სახაზო ბატალიონის მე-2 ასეულის დისლოკაციის ადგილად განისაზღვრა აიბგის უროჩიშჩე მდ. ფსოუზე.

1918 წელს სახელმწიფო საზღვრის აიბგის მონაკვეთის ცვლილება უკავშირდება რუსეთის იმპერიის დაშლას და ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკად, ხოლო შემდგომში სამი რესპუბლიკის - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

1920 წელს (7 მაისი) რუსეთის საბჭოთ ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა (რსფსრ) და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკს შორის დაიდო სამშვიდობო ხელსეკრულება, რომლის თნახმადაც რუსეთმა აღიარა ,,საქართველოს სახელმწიფოს თავისთავადობა და დამოუკიდებლობა“ და ნებაყოფლობით თქვა უარი გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) დარღვევით და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით მოპოვებულ უფლებებზე.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, საზღვარი იწყებოდა შავ ზღვაზე, მდ. ფსოუს შესართავთან, მიუყვებოდა მდინარეს მ. ასახჩამდე (ზ.დ. 2315,2 მ), შემდეგ აღწევდა მ. აგეფსთამდე და აქედან კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ გასდევდა ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ერთულების - შავი ზღვის ოკრუგის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარს. მე-2 მუხლის თანახმად საზღვრის გასწვრივ არსებული ყველა უღელტეხილი და უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია 5 ვერსის მანძილზე მიჩნეული იყო ნეიტრალურ ტერიტორიად

და ამ ტერიტორიის დაკავება ან გამაგრება ეკრძალებოდა ორივე მხარეს (1922 წლის 1 იანვრამდე).


ქუთაისის გუბერნია
თბილისის გუბერნია
ბორჩალოს მაზრა
ელიზავეტპოლის გუბერნია
ერევნის გუბერნია
ბაქოს გუბერნია
ბაქოს ოლქი
ერევნის ოლქი
ელიზავეტპოლის ოლქი
ბორჩალოს ოლქი

აფხაზი ისტორიკოსი ბაჯგუბ საღარიას ნაშრომიდან ირკვევა, რომ 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ **1922 წლის** 27 აპრილს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის პრეიზდიუმმა ლაკობას ხელმძღვანელობით ცენტრს თხოვნით მიმართა. აღნიშნულ წერილში ლაკობა იშველიებს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას სადაც რუსეთი საქართველოს აღიარებს დღევანდელ საზღვრებში, (ანუ საზღვარი მიუყვება მდ. ფსოუს) და მოითხოვს საზღვრად კვლავ მდ. ფსოუს დაწესებას.

,,თავს უფლებას ვაძლევთ შევაწუხოთ პრეზიდიუმი ჩვენი პეტიციით, რომელიც აღნიშნული რაიონის განსაკუთრებული მდგომარეობითაა გამოწვეული. თავს მოვალედ ვთვლით აღვნიშნოთ შემდეგი: აღნიშნული რაიონი თვით ,,მენშევიკების“ დროსაც კი აფხაზეთის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი იყო. პილენკოვოს რაიონი, იგივე განთიადი ეკონომიკურად და ტერიტორიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული. გაგრისა და პილენკოვოს რაიონები ეკონომიკიკურად და კულტურულად ერთ მთლიანობას წარმოადგენენ და მათი ხელოვნური გაყოფა დიდ ზიანს აყენებს ორივე რაიონის მცხოვრებლებს“ [ამონარიდი 1922 წლის 27 აპრილის პეტიციიდან].

ნესტორ ლაკობას წერილებს დედაქალაქიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობაც შეეშველა და რაც მთავარია ეს ისტორიული ფაქტი სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსის საღარიას წიგნშიც იკითხება.

1924-1929 წლებში წლებში რამდენჯერმე მოხდა საზღვრის ცვლილებები რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის, კერძოდ, აფსსრ-სა და შავი ზღვის ოკრუგის საზღვარზე (სსრ კავშირის ცაკ-ის გადაწყვეტილებით პილენკოვოს თემი ორჯერ გადავიდა (31.10.1924; 31.12.1928) რსფსრ-ის დაქვემდებარებიდან საქართველოს შემადგენლობაში და, პირიქით, საქართველოს შემადგენლობიდან _ რსფსრ-ის შემადგენლობაში (19.03.1926). 1928 წელს სსრ კავშრის ცაკ-მა მიიღო დადგენილება პილენკოვოს თემის აფხაზეთის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ და შექმნა პარიტეტული კომისია ამ გადაწყვეტილების პრაქტიკაში განსახორციელებლად (31.12.1928). თუმცა ამ თემის მხოლოდ 4 სასოფლო საბჭოს (მიქელირიფშის, პილენკოვოს, სალმეს და ხრისტეფოროვი) ტერიტორია გადაეცა საქართველოს, ხოლო მეხუთე – აიბგის სასოფლო საბჭო დარჩა შავიზღვისპირეთის ოკრუგის სოჭის რაიონის შემადგენლობაში. მისი ტერიტორია ნაჩვენებია 1928 წელს

გამოცემულ შავი ზღვის ოკრუგის რუკაზე, ხოლო რსფსრ-სა და საქართველოს საზღვრის მდებარეობა ამ მონაკვეთზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შემდეგნაირად განისაზღვრა: "სოფელ აიბგის სამხრეთით კოლონიზაციის ფონდის საზღვრის ფარგლებში,....აიბგას შემდეგ საზღვარი გაგრძელდეს მდინარე ფსოუზე"“ [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2014, გვ 5].

1943-1944 წელს ჩრდილოეთ საზღვრის ცვლილებები უკავშირდება, ჩრდილოკავკასიური მკვიდრი მოსახლეობის იძულებით გადასახლებას შუა აზიაში და მათი ტერიტორიების გადანაწილებას საქართველოსა და რუსეთს შორის.

1957-1958 წლებში ,,ჩრდილოკავკასიური“ ტერიტორიები დაუბრუნდა თავის ,,კანონიერ მფლობელებს“, ეს მოვლენები კი უკავშირდება გაუქმებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების აღდგენას. ასეთი ცვლილებები მოხდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულებით – (ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქის აღდგენასთან დაკავშირებით), ხოლო 1957 წლის 121/111 ბრძანებულებით [ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის აღდგენასთან დაკავშირებით) [9, ტ. 11,29, 1976].

სოფ. აიბგის მონაკვეტზე სახელმწიფო საზღვარი არამართებულადაა გატარებული, რადგან სოფელი ორად გაიყო: მდ. ფსოუს ხეობის მარცხენა მხარეს არსებული სოფლის ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში მოექცა, ხოლო ხეობის მარჯვნივ მდებარე ნაწილი- რუსეთის შემადგენლობაში.

,,**1992 წელს** რუსეთის ჯარებმა რუსეთის „კუთვნილი“ აიბგის ნაწილი „აფხაზეთს დაუთმეს“, მოგვიანებით კი რუსეთმა 160 კმ^2 ფართობის დათმობა მოითხოვა. ამ მიზნით შეიქმნა სამთავრობოთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა ამ საზღვრის დემარკაციადელიმიტაციის საკითხების გადაჭრა, თუმცა დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი რუსეთისა და თვითაღიარებული აფხაზეთის სადავო ტერიტორიად რჩება“ [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013, გვ 5-6.].



ნახ. 2.8. საქართველო-რუსეთის საზღვარი სოფ. აიბგასთან



ნახ. 2.9. სოფ. აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის დინამიკა

წყარო: საქართველოს ისტორიული ატლასი, 2016.

თავი III. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის კარტოგრაფირება

3.1. მდინარე ფსოუს აუზის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი

აფხაზეთის მონაკვეთზე სახელმწიფო საზღვრის უდიდესი ნაწილი მოდის მაღალმთიანეთზე (ზ.დ. 2,000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე), საზღვრის 80 %-ზე მეტი, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი რთული გადასალახავია.

მდ. ფსოუს მარცხენა სანაპიროს გასწვრივ მდებარე ობიექტებია: (1:25000 ტოპორუკის მიხედვით, 1958)

- **ბაღნარჰესი** - 1441,8 მ (ტრეანგულაციის წერტილი კოორდინატებით **x**-4471404,905 **y**-5385971,216) მდებარეობს მდინარე ჟეპსადან 1,17 კილომეტრში. მდინარეების ფხისტასა და ჟეპსას წყალგამყოფი. მდებარეობს სოფ. ზეგანიდან (ევდონოვკა) ჩრდილოეთით 1.5 კმ-ში.
- **არაშხა** - 1903 მ (კოორდინატებით **x**-4482313,902 **y**-5395105,441) მდებარეობს მდინარე არაშხადან 424 მეტრში. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. აიბგა 4 ჩრდილო დასავლეთით 4 კმ-ში.
- **კოზირკა** -1557,1 მ (ტრეანგულაციის წერტილი კოორდინატებით **x**-4479390,186 **y**-5396748,837) მდებარეობს მდინარე კატარხადან 733 მეტრში. უახლოესი დასახლებლი პუნქტია სოფ. აიბგა 4 ჩრდ. დასავლეთით 2 კმ-ში.
- **კამერინ-დეპა (ახიხჩა)** - 1967,5 მ (ტრეანგულაციის წერტილი კოორდინატებით **x**-4470184,301 **y**- 5392683,343) მდებარეობს ტეპებაშის ქედზე, მდინარე ფესოილადან 3 კილომეტრში. იგი მდინარეების ფხისთას და ფესოილას წყალგამყოფია. წარმოადგენს მდ. ფხისთას და მდ. ფსოუს მცირე შენაკადების სათავეს. უახლოესი დასახლებული პუნქტია სამხ. დასავლეთით მიქელრიფში 3,7 კმ-ში.
- **ახ-აგი** - 2732,4 მ (ტრეანგულაციის წერტილი X: 4484473.248 Y: 5389553.008) მდებარეობს გაგრის ქედზე. უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ. კლდეკარი სამხ. დასავლეთით 13 კმ-ში.

- **ჩალგონი** - 2709 მ (X: 4485665.188 Y: 5387252.731) მდებარეობს ტეპებაშის ქედზე. წარმოადგენს მდინარეების სანდრიფშის, ბოგარუპშტას და მდ. კრეპოსტნაიას წყალგამყოფს. ამავდროულად მდ. სანდრიფშის და ამ მდინარეთა მცირე შენაკადების სათავეს. უახლოესი დასახლებული პუნქტი სამხ. დასავლეთით 11 კმ-ში მდებარეობს სოფ. კლდეკარი.
- **აიბგა 2** – 2261,4 მ (X: 4484000.294 Y: 5391860.450) მდებარეობს გაგრის ქედზე. იგი მდინარე არაშხას სათავეა. უახლოესი დასახლებული პუნქტი ჩრდილო დასავლეთით 7.3 კმ-ში მდებარეობს, სოფ. აიბგა 4.
- **აიბგა 3** – 1831,5 მ (X: 4487597.612 Y: 5390537.134) მდებარეობს გაგრის ქედზე. წარ-მოადგენს მდ. კრეპოსტნაიას სათავეს. წყალგამყოფია მდ. კრეპოსტნაიასი და მდ. მოგარუპშტასი. უახლოესი დასახლებული პუნქტი სამხრეთ დასავლთით სოფ. კლდეკარია 14 კმ.
- **მონასტრის კლდე** - 2416,0 მ (X: 4485113.408 Y: 5390747.336) მდებარეობს გაგრის ქედზე. წარმოადგენს მდ. კრეპოსტნაიას მცირე შენაკადების სათავეს. უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს ჩრდილო დასავლეთით 8.5 კილომეტრში სიფ. აიბგა 4.

მდ. ფსოუს მარცხენა სანაპიროს გასწვრივ უმაღლესი ადგილია - მწვერვალი ახ-აგი 2732,4 მ, უდაბლესი ადგილი - მდ. ფსოუს შესართავთან -0,4 მ, - მდ. ფსოუს ვარდნა - 2315,6 მ (სათავე 2315,2 მ, შესართავი - -0,4მ). სულ 159 სასიმაღლო ნიშნულია, აქედან: ტრეანგულაციის წერტილი - 6, ხოლო გეოდეზიური წერტილი - 10

მდ. ფსოუს მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ მდებარე ობეიქტებია:

- **ლისაია** - 2111,3 მ (x – 4492248.327 y – 5401055.586) მდინარე გლუბოკაიას და უსა-ხელო მდინარის წყალგამყოფი, მდებარეობს სოფ. აიბგადან ჩრდ. დასავლეთით 9,5 კმ-ში.
- **კამენის კლდე** - 2509,0 (x – 4489684,104 y – 5405805,431) მდინარეების მზიმთასა და გლუბოკაიას წყალგამყოფი. მდებარეობს აიბგას ქედზე, სოფ. აიბგადან 6,7 კმ-ში ჩრდ. აღმოსავლეთით.

- **მენდელეევის კლდე** - 1305,3 (x – 4481227.063 y – 5403601.895) მდინარე ბეზიმიანკას და უსახელო მდინარის წყალგამყოფი. მდებარეობს სოფ. აიბგადან ჩრდილოეთით 2,2 კმ-ში.
- **წითელი კლდე** - (x - 4474911,454 y – 5405472,213) წარმოადგენს მდ. ვადაპადის სათავეს. მდებარეობს სოფ. აიბგა 1-დან ჩრდილოეთით 2,7 კილომეტრში.
- **კარალიოვის კლდე** - 1127,6 (x – 4477264,281 y – 5402147,202) მდებარეობს სოფ. აიბგა 1-დან აღმოსავლეთით 700 მ- ში.
- **ყურღანი 2** – 1053,3 (x – 4467888,802 y – 5400024,880) მდ. არკვას და მდ. ფსოუს წყალგამყოფი, მდებარეობს სოფ. აიბგა 4-დან აღმოსავლეთით 6,2 კმ-ში.
- **ძიხრა** - 1277,1 (x4460202,103 y – 5395328,781) მდებარეობს ერმოლოვკადან ჩრდილოეთით 3 კილომეტრში.

მდ. ფსოუს მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ: უმაღლესი ადგილი - 2547,2 მეტრია, უდაბლესი - 1,7 მ, სულ 196 სასიმაღლო ნიშნულია აქედან, გეოდეზიური - 21, ტრიანგუ-ლაციის - 8.

3.2. რუკაზე არათემატურად გატარებული საზღვრები

ნახ. 3.1. ფრაგმენტი ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკიდან“ (1919 წ.)

რუკა შედგენილია 1919 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ, და გამოხატავს საზღვრის მდგომარეობას 1783 წელს (ნახ. 3.1.). საზღვარი იწყება ნიკოფსიიდან გაცილებით ჩრდილოეთით, თუმცა კონკრეტულად არ არის აღნიშნული ის ადგილი საიდანაც საზღვარი იწყება, მაგრამ ჰიდროგრაფიული ქსელის დახმარებით შესაძლებელია კონკრეტული ადგილის დადგენა. რუკის მიხედვით დადგინდა რომ საზღვარი გადის ქ. სოჭის ჩრდილოეთით 40 კილომეტრში ვარდანის მიკრო რაიონში, სადაც მდ.ბუუ ერთვის შავ ზღვას. საზღვარი აღმოსავლეთის მიმართულებისაა და მ. აიშხასთან (2857 მ.) უერთდება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს და მიუყვება მას.



ნახ. 3.2. ფრაგმენტი ს. ბურნაშევის „საქართველოს რუკიდან“

რუკა შედგენილია 1784 წელს სტეფანე ბურნაშევის მიერ, რუსულ ენაზე და გამოხატავს საზღვრის მდგომარეობას 1783 წელს. მასშტაბი - 1:4 000 000. საზღვარი ჯიქეთსა და აფხაზეთს შორის გატარებულია მდ. ფსოუსა და მდ. კაპოეტისწყალს (ბზიფს) შორის, დაახლოებით გაგრის ქედზე, ხოლო შემდგომ კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე (ნახ. 3.2).

რუკა გამოყენებული აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის ნასრომში „საქართველოს საზღვრები“, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით.

ნახ. 3.3. ფრაგმენტი რუკიდან „Карта Кавказскаго Края“ (1901)

რუკა შედგენილია 1901 წელს თბილისში, თუმცა გამოხატავს საზღვრის მდგომარეობას 1809 წელს (მთლიანი რუკა 1801-1813 წლების საზღვრების მდგომარეობას კავკასიაში).შედგენილია პოდპოლკოვნიკ ტომკიევის მიერ, მასშტაბი 1:840 000 (ნახ. 3.3.).

საზღვარი იწყება გაგრის მიდამოებში შავ ზღვასთან, მიემართება ჩრდ. აღმოსავლეთით და მიუყვება გაგრის ქედს, შემგომში აცეტუკას ქედს, კვეთს მ. აგეფსთას (3256 მ.). მ. ავადჰარასთან (2960 მ.) უერთდება მთავარ წყალგამყოფ ქედს და მიუყვება მას აღმოსავლეთის მიმართულებით. დალარის უღელტეხილიდან (3291 მ.) იგი მკვეთრად უხვევს სამხრეთ-დასავლეთით და მიუყვება კოდორის ქედს. მ. ხოჯალიდან (3314 მ.) სამხრეთის მიმართულებისაა და მიუყვება კოდორის ქედის სამხ. განშტოებას, შემდგომ უხვევს დასავლეთის მიმართულებით, მიუყვება მდ. ოქუმს და უერთდება ზღვას.

ნახ. 3.4. ფრაგმენტი რუკიდან „ Генеральная Карта земель между ЧернымЪ и Каспийскимъ Морями, обозначением новой границы России и Персии“

რუკაზე ასახულია საზღვრის მდგომარეობა 1819 წელს. საზღვარი გატარებულია მდ. ფსოუსა და მდ. ბზიფის წყალგამყოფზე, შემდგომ კი უერთდება მთავარ წყალგამყოფ ქედს (ნახ. 3.4.) და მიუყვება მას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ნახ. 3.5. ფრაგმენტი „საქართველოს გენერალური რუკიდან“

გვიჩვენებს სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობას 1823 წელს. საზღვარი გატარებილია ქალაქ გაგრის ჩრდილოეთით (ნახ. 3.5.). მიემართება ჩრდ. აღმოსავლეთით და მიუყვება გაგრის ქედს, შემგომში აცეტუკას ქედს, კვეთს მ. აგეფსთას (3256 მ.). მ. ავადჰარასთან (2960 მ.) უერთდება მთავარ წყალგამყოფ ქედს და მიუყვება მას აღმოსავლეთის მიმართულებით.



ნახ. 3.6. ფრაგმენტი რუკიდან „Карта Черкессии“

რუკა გვიჩვენებს საზღვრის მდგომარეობას 1830 წელს. საზღვარი იწყება მდ. ბზიფის შესართავთან შავ ზღვასთან, მიუყვება მდინარის ქვემო წელს ხოლო, შემდეგ მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთით და მიუყვება ბზიფის ქედს, კვეთს ადანგეს უღელტეხილს (2299 მ.) და უერთდება მთავარ წყალგამყოფ ქედს (ნახ. 3.6.).

ნახ. 3.7. ფრაგმენტი „ევროპული რუსეთის სპეციალური რუკიდან.“

რუკის ავტორია სტრელბიცკი. მასშტაბი - 10 ვერსი. გვიჩვენებს საზღვრის მდგომარეობას 1871 წელს. საზღვარი გადის მდ. ხოლოდნაია რეჩკაზე, კვეთს არაბიკის მასივს და მ. არაბიკას (2656 მ) გაივლის გაგრის ქედს, შემდეგ კვეთს აცეტუკას ქედს, მ. აგეფსთას (3256 მ), და მ. ავადჰარასთან (2960 მ) უერთდება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს. (ნახ. 3.7.)



ნახ. 3.8. ფრაგმენტი „კავკასიის რუკიდან“

მასშტაბი - 5 ვერსი. რუკაზე მოცემულია საზღვარი 1877 წელს. საზღვარი გადის მდ. ხოლოდნაია რეჩკაზე კვეთს არაბიკის მასივს, გაგრის ქედს, შემდეგ კვეთს აცეტუკას ქედს, მ. აგეფსთას (3256 მ.), და მ. ავადჰარასთან (2960 მ.) უერთდება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს (ნახ. 3.8.).

ნახ. 3.9. ფრაგმენტი რუკიდან „КАВКАЗЪ“

მასშტაბია - 1:4,000,000. რუკაზე ნაჩვენებია საზღვრის მდგომარეობა 1896 წელს, როდესაც შავი ზღვის ოკრუგი გადაკეთდა გუბერნიად (ნახ. 3.9.) საზღვარი გატარებულია მდ. მზიმთაზე, შემდგომ მიუყვება მდ. ფსხუს, კვეთს აიშხას უღელტეხილს (2401 მ.), უერთდება მთავარ წყალგამყოფ წედს და მიუყვება მას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ნახ. 3.10. „Карта Абхазии и Самурзакано“

რუკაზე ასახულია საზღვრის 1899 წლის მდგომარეობა. საზღვარი გატარებულია ქ. გაგრის ჩრდილოეთით დაახლოებით მდ. ხოლოდნაია რეჩკაზე (ნახ. 3.10.), კვეთს არაბიკის მასივს, გაივლის გაგრის ქედს, შემდეგ კვეთს აცეტუკას ქედს, მ. აგეფსთას (3256 მ), და მ. ავადჰარასთან (2960 მ) უერთდება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს.



ნახ. 3.11. ფრაგმენტი რუკიდან „Кавказскаго военнаго округа“ (1903)

1903 წლის რუკის მიხედვით, რომელიც შედგენილია რუსულ ენაზე 1903 წელს ტიფლისში, მასშტაბი 1:840 000 ვერსებში (დიუმებში) (ნახ. 3.11.), საზღვარი იწყება მდ. ბზიფის შესართავთან შავ ზღვასთან, იგი ჩრდილოეთის მიმართულებისაა და მიუყვება მდინარეს, მამძიშხასთან მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთით და მიუყვება ბზიფის ქედს. გაივლის მ. ჩიფშისას (2382 მ), მ. აკუგრგას და მ. ჩედიმს (2840 მ). მ. ხიმსადან (3034 მ.) ჩრდილოეთის მიმართულებისაა გადაკვეთს ადანგეს უღელტეხილს (2299 მ) და ამის შემდეგ მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს. გადაკვეთს მარუხის უღელტეხილს (2746 მ), კვეთს ერცოგის ქედს, შემდეგ დომბაი-ულგენს (4046 მ) ქლუხორის უღელტეხილს (2782 მ). მ. გვანდრასთან (3985 მ) იგი უხვევს სამხრეთით, მიუყვება ხარიხრას ქედს, გაივლის მწვერვალ ხარიხრას (2799 მ.), შემდგომ ამისა კვეთს კოდორის ქედს, გაივლის მ. ხოჯალს (3314 მ) მ. ჟეფშხას (2023 მ), სოფ. საბერიოს მიდამოებიდან უკვე მიუყვება მდ. ენგურს და სოფ. მუხურთან უერთდება შავ ზღვას.

ნახ. 3.12. ფრაგმენტი ივ. ჯავახისვილის მიერ შედგენილი რუკიდან

რუკა შედგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად (1919 წ.). ქართული მხარე მოითხოვდა საზღვრის დადგენას სოჭის ოლქში ტუაფსედან 14 კილომეტრში მდ. მაკოფსეზე, თუმცა მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. (ნახ. 3.12).

საზღვარი იწყება ქალაქ ნიკოპსიის მიმდებარედ შავ ზღვასთან, მიუყვება მდ. ნიკოპსიას, კვეთს მდ. ხოლოდნი როდნიკს, გაივლის მწვერვალ ოხტენს, კვეთს მდინარე ფსეხას, შემდეგ საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს კვეთს მ. პსისს (თანამედროვე ფსიში 3489 მ.) და კვლავ მიუყვება მთავარ წყალგამყოფ ქედს.



ნახ. 3.13. ფრაგმენტი რუკიდან „ Карта АССР Абхазии“

რუკა გამოცემულია სოხუმში, მასშტაბი 1სმ - 2,7 კმ (ნახ. 3.13.). ავტორი ს.ფ. ლუნოვსკი. რუკაზე ასახულია 1920 წლის საზღვრის მდგომარეობა, რომელიც იწყება შავ ზღვასთან მდ. ფსოუს შესართავთან და მიუყვება მდინარეს მთელს სიგრძეზე. მდინარე ფსოუ პირველად იქცა სასაზღვრო მდინარედ.

ნახ. 3.14. ფრაგმენტი რუკიდან „Абхазская ССР“

მოცემულია საზღვრის მდგომარეობა 1920-იან წლებში. საზღვარი გატარებულია ქ. გაგრის ჩრდილოეთით მდ. ხოლოდნაია რეჩკაზე (ნახ. 3.14.), კვეთს არაბიკის მასივს, გაივლის გაგრის ქედს, შემდეგ კვეთს აცეტუკას ქედს, მ. აგეფსთას (3256 მ.), და მ. ავადჰარასთან (2960 მ.) უერთდება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს.

ნახ. 3.15. ფრაგმენტი „ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის რუკიდან“

შეადგინა და დახაზა ს. რუდენკომ; ს. კროტკოვის საერთო რედაქციით; რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გეოგრაფიული კაბინეტის გამგემ - ა. ლაისტერმა. გამომცემელი: O.C.O. Авиахима C.C.P.Г. გამოცემის თარიღია -1928 წელი (ნახ. 3.15).

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ადმინისტრაციული რუკა ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე თურქეთისა და სპარსეთის მიმდებარე ტერიტორიებით. რუკის მასშტაბია რიცხობრივი - 1:1 000 000; ხაზობრივი, ვერსტებში, კილომეტრებში; კარტოგრაფიული ბადის სიხშირე - 1 გრადუსი; ენა - რუსული.

საზღვარი გატარებული დაახლოებით მდ. ხოლოდნაია რეჩკაზე, კვეთს არაბიკის მასივს, გაივლის გაგრის ქედს, შემდეგ კვეთს აცეტუკას ქედს, მ. აგეფსთას (3256 მ), და მ. ავადჰარასთან (2960 მ) უერთდება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს.

ნახ. 3.16. ფრაგმენტი „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასწავლო ფიზიკური რუკიდან“

რუკის მასშტაბია - 1:400,000. ავტორები არიან ალ. ჯავახიშვილი და ს. ცხაკაია.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა (ნახ. 3.16.). რუკაზე ასახულია 1930-იანი წლების მდგომარეობა, საზღვარი გატარებულია მდ. ფსოუსა და მდ. მზიმთის წყალგამყოფზე, კვეთს აცეტუკას ქედს და მ. აგეფსთას (3256 მ), მ. ავადჰარასთან (2960 მ) კი უერთდება მთავარ წყალგამყოფ ქედს და მიუყვება მას.

ნახ. 3.17. ფრაგმენტი „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რუკიდან“

რუკა შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში, მასშტაბი - 1:200,000 (ნახ. 3.17.). რუკა ასახავს საზღვრის მდგომარეობას 1932 წელს. საზღვარი იწყება მდ. ფსოუს შესართავთან შავ ზღვასთან, შემდეგ მიუყვება მდინარის მარცხენა სანაპიროს კვეთს მდ. ფსოუსა და მდ. ლაფსთას წყალგამყოფი ქედის თხემს, შემდეგ კვეთს მდ. ფსოუს გადადის მის მარჯვენა მხარეს და მიუყვება მდ. მზიმთას და მდ. ფსოუს წყალგამყოფს, მდინარის შუა წელში კვლავ კვეთს მას და მიუყვება მის მარცხენა მხარეს ტეპებაშის ქედს, კვეთს ახ-აგის მასივს და მიემართება ჩრდილოეთით.



ნახ. 3.18. ფრაგმენტი „საქართველოს ადმინისტრაციული რუკიდან“ (1952 წ.)

რუკა არის ფრაგმენტი ,,საქართველოს ადმინისტრაციული რუკიდან“ (1952 წ.) 1943 წლის 12 ოქტომბრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით გაუქმდა ყარაჩაის ავტონომიური ოლქი, მისი ტერიტორიები მეზობელ სახელმწიფოებს გადაუნაწილდა (ნახ. 3.18.). ტერიტორიების გადანაწილების შედეგად საქართველოს შემოუერთდა უჩკულუნისა და მიქოიანის რაიონების ნაწილები ამ ტერიტორიაზე შექმნეს ქლუხორის რაიონი. ადმინისტრაციული ცენტრი იყო მიქოიან-შახარი, შემდგომში მას სახელწოდება შეუცვალეს და ქლუხორი უწოდეს. დასავლეთით საზღვარი ემთხვეოდა მიქოიანის რაიონის საზღვარს, აღმოსავლეთით საზღვრის ხაზი გავლებულ იქნა ქლუხორის ჩრდილოეთით, შემდეგ იგი მდ. მარათი მიემართებოდა სოფ. ქვემო მარასაკენ. ეს სოფელი რჩებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ და საზღვარი გადიოდა უჩკულანის რაიონის საზღვარზე (სოფ. ზემო მარას სამხრეთით), სამხრეთის მიმართულებით კი საზღვრის ხაზი დაამთხვიეს უჩკულანის რაიონის საზღვარს. მთლიანად, აღნიშნული ტერიტორიის შემოერთებით საქართველოს შეემატა 3592,8 კმ^2 ფართობის ტერიტორია.

ნახ. 3.19. ფრაგმენტი სატყეო რუკიდან

მოცემულ სატყეო რუკაზე, რომლის მასშტაბია 1:25 000, მოცემულია 1983 წლის ვითარება (ნახ. 3.19.) და გვიჩვენებს რომ სოფ. აიბგის მიმდებარე ტერიტორიები, მდ. ფსოუს ორივე ნაპირზე, ადლერის რაიონის (რუსეთი) საბჭოთა მეურნეობის მიწებს წარმოადგენს.



ნახ. 3.20. საქართველოს ფიზიკური რუკა

1990-იანი წლებიდან საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი გატარებულია მდ. ფსოუზე და შემდგომ, ჩრდილოეთით იგი უკვე მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს. თუმცა 1992-1993 წლებსი განვითარებული საბრძოლო მოქმედებების

შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა და იგი საქართველოს კონტროლს მიღმაა დარჩენილი (ნახ. 3.20.).

3.3. თანამედროვე ვითარება

2011 წლის მონაცემებით რუსეთს სურვილი აქვს მიითვისოს 160 კმ^2, შეიქმნა აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვრის დემარკაციის სამთავრობადშორისო კომისია.

,,ნეზავისიმაია გაზეტას“ ცნობით სოფ. აიბგის მოსახლეობა რუსეთის იმ დროინდელ პრეზიდენტ დ.მედვედევს სთხოვს სოფლის დაცვას და მის რუსეთთან მიერთებას. ამის მიზეზად კი ასახელებენ აფხაზეთის წარმომადგენლების შეჭრას მათ ტერიტორიაზე და ხე-ტყისა და გრანიტის უკანონო გადაზიდვას. მოსახლეობის თქმით მდ ფსოუს მარცხენა მხარეს აფხაზეთის რეპუბლიკის წარმომადგენლებმა დადგეს სასაზღვრო საგუშაგოები. მესაზღვრეები არ აღიარებენ რუსეთის მიერ გაცემულ საშვს და მოითხოვენ სოფელში ჩასასვლელად საშვი სოხუმიდან აიღონ.

სოფლის მკვიდრთა განცხადებით მათი სოფელი ყოველთვის რუსული იყო და ახლაც ასე სურთ, რომ დარჩეს. ამიტომ პრეზიდენტს სთხოვენ 1990 წელს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას და მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე სასაზღვრო საგუშაგოების დადგმას.

აფხაზეთის ადმინისტრაციამ კი მცხოვრებლებს აფხაზეთის შემადგენლბაში შესვლის სანაცვლოდ შესთავაზა მიწის ნაკვეთები ზღვის ნაპირას, თუმცა ამ შეთავაზებაზე უარი მიიღო [Г. А. Брагин].

აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის განცხადებით მას გაგრის რაიონის კუთვნილი 160 კმ^2 რუსეთისთვის არ გადაუცია, ამ ყველაფერს მედიის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია უწოდა. პრეზიდენტის თქმით, მიმდინარეობს საზღვრის ,,ნორმალური“ დელიმიტაცია დემარკაციის პროცესი და იგი არავისთვის აპირებს თუნდაც 1 კვადრატული კილომეტრის დათმობას. (გაზ. ,,ტაბულა“, 2013 წ.)

2011 წელს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მოხსნეს თავიანთი ინტერესი 16 ათ. ჰექტარზე, რომელიც ისტორიულად აფხაზეთს ეკუთვნოდა. თუმცა საკითხი ბოლომდე არ მოგვარებულა.

მოგვიანებით გაირკვა რომ რუსეთმა მოითხოვა მდ. ფსოუს მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლის მიკუთვნებულობის გასარკვევად მათთვის გადაეცათ გაგრის რაიონის 20%, რომელიც რიწის ტბას ეკვრის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით შემდეგი შეხვედრისთვის დაანონსდა საზღვრის გატარების დაზუსტება სოფ. აიბგის მიდამოებში, რისთვისაც გამოიყენებენ, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ტოპოგრაფიულ, ადმინისტრაციულ, სატყეო და სხვა რუკებს. რუსეთი ღიად მიანიშნებს აფხაზეთს ტერიტორიის დათმობის აუცილებლობის შესახებ.

რუსები თვლიან, რომ მარცხენა ნაპირი რუსეთმა აფხაზეთს დაუთმო. აქამდე ცდილობდნენ არ გაეღიზიანებინათ აფხაზი პარტნიორები აიბგის გამო. მაგრამ, როდესაც აფხაზმა ძალოვნებმა არ დაუცადეს სადელიმიტაციო და სადემარკაციო კომისიის ოფიციალურ გადაწყვეტილებას და გადაწყვითეს კონტროლის ხელში აღება, სოფლის მხრიდან უარყოფითი რეაგირება მიიღეს. მას შემდეგ რუსული მხარის რეაქცია შეიცვალა. (,,Незав. Газ. 09.06.2011.) დაიბეჭდა სტატია სადავო ტერიტორიაზე აფხაზი მესაზღვრეების ახალი საგუშაგოების აშენების თაობაზე. ამის შემდეგ აიბგაში ჩავიდნენ რუსი მაღალჩინოსნები.

ბაღაფშის სიკვდილის შემდეგ აიბის აღების ახალი შტურმი დაიწყო. რუსები აიბგას რუსეთის ანკლავად მიიჩნევდნენ (ალექსანდრ ჩერემნიხის მიხედვით). ავტორი აღნიშნავს რომ საზღვარგარეთის მხარეს დარჩენილ სოფელსი 30-მდე მცხოვრებია, ყველა რუსი, რომლლებიც აქ XIX საუკუნიდან ცხოვრობენ, ინფრასტრუქტურა კი XVIII საუკუნის მსგავსია. მისივე თქმით სოფელი მდებარეობს მდ. ფსოუს ორივე მხარეს, დაარსდა 1888 წელს სადაც დასახლდა ბელორუსიიდან გადმოსახლებული ხალხი. დღეს ის ორადაა გაყოფილი, ნაწილი ადლერის რაიონშია მოქცეული ნაწილი კი გაგრის რაიონში.

აფხაზეთის პოზიციით რუსეთმა იგი უნდა აღიაროს ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში, თუმცა რუსეთი ცდილობს არქივში მოიძიოს საპირისპირო დოკუმენტები.

ქალაქ-კურორტ სოჩის მუნუციპალური წარმონაქმნის განკარგულების [Устав Муни¬ци-палного…, 2010] მიხედვით განსაზღვრულია ქალაქ სოჩის ტერიტორიული

დაყოფის ერთეულები (მუხლი 3). აქ ნათქვამია, რომ ქ. სოჩის ფარგლებში ექცევა 4 საქალაქო რაიონი (ადლერის, ლაზარევსკოეს, ხოსტისა და ცენტრალური). ადლერის საქალაქო რაიონის შემადგენლობაშია კრასნოპოლიანის სადაბო (Краснополянский поселковый округ), კუდეფსინსკის სასოფლო (Кудепстинский сельский округ), მოლდოვი სასოფლო (Молдовский сельский округ) და ნიჟნეშილოვსკის სასოფლო (Нижнешиловский сельский округ) საბჭოები. ამ უკანასკნელის ფარგლებში შედის 7 სოფელი: ახშტირი, ვერხნევესიოლოე, ვესიოლოე, ერმოლოვკა, ნიჟნაია შილოვკა, ჩერეშნია და აიბგა. ამ დოკუმენტში არ ჩანს, რომელ აიბგაზეა საუბარი - მხოლოდ მარჯვენა ნაპირეთის განსახლების, თუ სოფლის ხუთივე უბნის ჩათვლით.

რუსულ წყაროებში მოცემული ინფორმაცია სოფელ აიბგის შესახებ, ხშირად გაუგებარია როდის რომელ აიბგაზეა საუბარი. იმიტომ, რომ მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს მოქცეულ უბნებსაც მოიხსენიებენ როგორც ქ. სოჭის ადლერის რაიონის შემადგენელ ნაწილებს.

რუსულ წყაროებში მარცხენა მხარეს მდებარე აიბგა დასახლებულ სოფლადაა მოხსენიებული, კერძოდ 26 მცხოვრებით.

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის გასწვრივ მდებარე უღელტეხილებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ქლუხორის უღელტეხილი. ამ უღელტეხილზე გადის სოხუმის სამხედრო გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში შემოღწევა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს გზა შემოდის კოდორის ხეობაში (დალის ხეობა), რომელსაც ყოველთვის ეჭირა სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან შავი ზღვის ნავსადგურებზე გასასვლელ დერეფანს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულმა გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა გეგმის ნატო-სთან სავარაუდო ომის შემთხვევისთვის. გეგმა სამ ზღუდეს ითვალისწინებს: ყოფილი სსრკ სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე (დღევანდელი საქართველო-თურქეთის საზღვარი), კავკასიონის ქედის გასწვრივ და სიღრმეში - როსტოვის ოლქისა და სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე. გამომდინარე იქიდან რომ საქართველო ნატოსკენ ისწრაფვის, რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზღუდე ამჟამად კავკასიონის

მაღალმთიან რეგიონებშია. რათქმაუნდა კრემლს სურს ხელში ჩააგდოს რაც შეიძლება მეტი სტრატეგიული პოზიცია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, ახლო მომავალში გასათვალისწინებელია საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე დესტაბილიზაციის მორიგი მცდელობები, განსაკუთრებით საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის დაჩქარების შემთხვევაში.

1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს და ომის შემდგომ კოდორის ხეობა კონტროლირდებოდა ქართული მხარის მიერ. ეს ყოველივე 2008 წლის აგვისტოს ომამდე ქართული მხარის მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობად ითვლებოდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კოდორის ხეობასთან ერთად დაიკარგა არსებული 12 სასაზღვრო პუნქტი და უღელტეხილი. აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ კოდორის ხეობა მთლიანად მოექცა რუსეთის კონტროლის ქვეშ, რამაც გამოაცოცხლა სამხედრო გზის აღდგენის პროექტი - ყარაჩაი-ჩერქეზეთის და აფხაზეთის დაკავშირება საავტომობილო გზით კოდორის ხეობის გავლით [გაზ. ,,რეზონანსი“]. აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო ხელმძღვანელი ალექსანდრე ანქვაბი არ იყო სოხუმი-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის გაღრმავების მომხრე რაც სხვათა შორის გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ეწინააღმდეგებოდა სოხუმის სამხედრო გზის აღდგენას. მისგან განსხვავებით აფხაზეთის ამჟამინდელი დე–ფაქტო მეთაური რაულ ხაჯიმბა მიიჩნევს რომ რუსეთთან უნდა განვითარდეს ყველანაირი კავშირი, მათ შორის - ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირე-ბელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა [გაზ. ,,რეზონანსი“]. სოხუმის სამხედრო გზა რუსეთს ძირითადად ესაჭიროება სტრატეგიული მიზნებისათვის, როგორც რუსეთიდან აფხაზეთში გამავალი ალტერნატიული მარშრუტი. ჯერჯერობით რუსეთიდან აფხა-ზეთში გადის მხოლოდ ერთი სახმელეთო მარშრუტი - სოჭიდან (კრასნოდარის მხარე). განსხვავებით აფხაზეთის მონდომებისა გზის აღდგენასთან დაკავშირებით, რუსეთს „ არაფრით არ უნდა რომ ჩრდილოკავკასიელებს კიდევ ერთი დამოუკიდებელი დამაკავში-რებელი არტერია ჰქონდეთ შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან , უპირველეს ყოვლისა კი თურქეთთან “ [გ. გუნავა, 2009].

სეპარატისტულ აფხაზეთსა და თბილისს შორის ურთიერთობების განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ორი ფაქტორი. პირველი - რუსეთის აგრესიული და

არაპროგნოზირებადი პოლიტიკა რეგიონში და მეორე - აფხაზეთში მიმდინარე შიდა პოლიტიკური ცვლილებები.

საქართველოს სახელმწიფოს და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება შეფასდა, როგორც ანექსიისკენ გადადგმულ მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ასევე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის (რუსული სამხედრო ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, სრული კონტროლი) პირობებში, კრემლის მიერ თბილისის გვერდის ავლით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აფხაზეთთან მიმართებაში - სამართლის კონტექსტში არანაირ ახალ რეალობას არ ქმნის.

უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს რუსული ძალების განთავსებას ფსოუზე და სეპარატისტული ტერიტორიის კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციას მოსკოვთან. რაც მიგვანიშნებს იმას, რომ მომავალში სავარაუდოდ კოდორის ხეობაში რუსეთი ახალ სამხედრო გზას გაიყვანს რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსულ გავლენას რეგიონში და პრინციპში, გამეორდება ყირიმის შემთხვევა. თუმცა ყირიმისგან განსხვავებით ფორმალურად რუსეთს გამოცხადებული ექნება აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. [ლუკიანოვიჩი, 2015]

ამ დოკუმენტს საერთაშორისო სამართლებრივად არანაირი ღირებულება არ გააჩნია, თუმცა რუსეთი განაგრძობს დიპლომატიურ მუშაობას საერთაშორისო არენაზე. კერძოდ, წყნარი ოკეანის აუზის მცირე სახელმწიფოებზე, რათა გაიზარდოს იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

აფხაზეთის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მომხრეა რუსეთთან სრული ინტეგრაციისა.

,,ტრანს-ენგურის“ ვაჭრობა - 2007 წლის სოხუმის გადაწყვეტილებით ყველანაირი ეკონომიკური კავშირი საქართველოსთან ითვლება უკანონოდ. საქართველოდან შესული პროდუქცია კი - კონტრაბანდად.

ზუგდიდიდან, ქუთაისიდან და თბილისიდან შესული სურსათი, ტექნიკა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები გალსა და სოხუმში 100%-300% უფრო ძვირად იყიდება. უამრავი ადამიანისთვის ,,ტრანს-ენგურის“ ვჭრობა ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ როლს თამასობ. თუმცა აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ამ ვაჭრობის აკრძალვის

ინიციატივით გამოვიდა და განაცხადა: „საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე საქონლის უკანონო ბრუნვის საკითხი უმოკლეს დროში უნდა გადაიჭრას. პროდუქციის შემოტანა და გატანა კონტრაბანდული გზით ხორციელდება, სახელმწიფოს კი აქედან არავითარი სარგებელი არა აქვს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს მხოლოდ კანონიერ საფუძველზე. დღეს ბევრი საუბრობს რომ ეს შეუძლებელია რადგან ჩვენ არ გვაქვს საქართველოსთან სახელმწიფოებრივ-სამართლებლივი ურთიერთობა მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეს დაკავდეს კონტრაბანდით და დიდი რაოდენობით შემოიტანოს საქონელი ენგურიდან. ამასთან, ისინი ბიუჯეტში არაფერს არ იხდიან. ჩვენ ან უნდა დავუშვათ საქონლის უკანონოდ გადატანა, ან მთლიანად ჩავკეტოთ საზღვარი“. [ამონარიდი რაულ ხაჯიმბას სიტყვიდან, 2014.]. ხაჯიმბას სურს გააქროს ერთადერთი პლადფორმა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა.

აღსანიშნავია რომ აფხაზურ სკოლებში 2015 წლიდან ქართულად სწავლება აიკრძალა, ამავე წლის მონაცემებით ქართული სკოლის სტატუსი გალის რაიონის მხოლოდ 11 სკოლას აქვს.

თუ რუსეთი მისთვის სასურველ ყველაა მიზანს მიაღწევს, სავარაუდოა რომ სოხუმი კვლავ გახდეს პოლიტიკური ქაოსის ცენტრი. ამ მიზნების მიღწევის შემდეგ აფხაზების ბრძოლა საკუთარი იდენტობისთვის შეიძლება უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს.

მიზანშეწონილია რუსეთთან მოლაპარაკების გაგრძელება საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციასთან დაკავშირებით დიალოგის ყველა შესაძლო ფორმაში. აფხაზებსა და ქართველებს შორის სავაჭრო გზების ხელშეწყობა და ამ კუთხით არსებული კანონის ლიბერალიზაცია. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შენარჩუნება და გაფართოება მთელ მაღალმთიან რეგიონში.

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-დასავლეთი (აფხაზეთის) მონაკვეთი ერთ-ერთი რთულად გადასაჭრელი პრობლემაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ის ქვეყნის არაკონტროლირებადი ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

საკითხის გადაჭრა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნებით უფრო განისაზღვრება, თუმცა ამისათვის ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრის ისტორიულ ჭრილში გააზრება და მისი ტრანსფორმაციების ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული ანალიზის შედგენა.

კვლევის შედეგად:

- გამოვლინდა კარტოგრაფიული წყაროების, სამართლებრივი დოკუმენტებისა და რეალური ვითარების ურთიერთმიმართება;
- დადგინდა სხვადასხვა მასშტაბისა და სხვადასხსვა წელს გამოცემული კარტოგრაფიული წყაროების ურთიერთშედარება, რის საფუძველზეც დადგინდა ტერიტორიული მიკუთვნებულობის დინამიკა;
- განხორციელდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთის ისტორიული ტარნსფორმაციების კარტოგრაფირება;

სამართლებრივი დოკუმენტებისა და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით დადგინდა სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). რედაქტ.: თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი. თბ.: სტალინის სახელობის სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1941, 357გვ.
2. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIIIს.). სარედ. კოლ.: ზურაბ ტატაშიძე და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბ., 1997, 96 გვ.
3. ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბ., 1918.
4. კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ., 2006; 2016.
5. კვერენჩხილაძე რ. საქართველოს საზღვრები. თბ., 1991.
6. მანველიშვილი ალ. საქართველოს საზღვრები. პარიზი: გაზეთ „მომავლის“ გამოცემა, 1938.
7. ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ. საქართველო მჭიდროდ შემოფარგლულ სამზღვრებში – ივანე ჯავახიშვილისეული ხედვა. // ალმანახი „ჯავახიანი“, # 1, თბ.: ივანე ჯავახიშვილის ცენტრი, 2018, გვ. 49-94.
8. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. შედგენილი შ.ს.ს.კ. ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის-მიერ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. 1923. გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილებისა. მასშტაბი 10 ვერსი დიუმზედ, (1:420,000).
9. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრების რუკა. 1919. ქართული. მასშტაბი 1: 3,000,000.
10. აფხაზავა ი. ბზიფი. // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2 თბ., 1977, გვ. 1977.
11. ბერაძე თ. ნიკოფსი. // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7 თბ., 1984, გვ. 435.
12. ბერძენიშვილი მ., შოშიაშვილი ნ. საქართველო XVI საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1988. მასშტაბი 1:920,000.
13. საქართველოს ისტორიული ატლასი. თბ., 2016.

14. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ატლასი , თბ.: სსრ სახ. გეოლოგიური კომიტეტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთ. სამმართველო, 1964.
15. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის გეოგრაფიულ-კარტომეტრული შეფასება. თბ., 2013.
16. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელი აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით. თბ., 2014.
17. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. თბ., ჟ.: „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, # 4-6. თბ., 2012. გვ. 3-15.
18. ლუკიანოვიჩ ქ. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი. თბ. 2015.
19. კილაძე ს., ვინ გადასცა სოჭის ოლქი რუსეთს // ,,კვირის პალიტრა“, 2007.
20. ნიკოლაიშვილი დ., საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
21. გობეჯიშვილი რ. საქართველოს რელიეფი, თბ. 2009.
22. ბურნაშევი ს., საქართველოს რუკა, 1784 წ. მასშტაბი 1:4 000 000
23. ტომკიევი, Карта Кавказскаго Края 1901წ. მასშტაბი 2,54:40 ვერსებში, 1:840 000.
24. Генеральная Карта земель между ЧернымЪ и Каспийскимъ Морями, обозначением новой границы России и Персии. 1819 წ.
25. საქართველოს გენერალური რუკა, 1823 წ.
26. Карта Черкессии, 1830 წ.
27. სტრელბიცკი ევროპული რუსეთის სპეციალური რუკა. 1871 წ. 10 ვერსი.
28. კავკასიის რუკა, 1877 წ. 5 ვერსი. საფონდო მასალა.
29. КАВКАЗЪ, 1896 წ. მასშტაბია - 1:4 000 000.
30. Карта Абхазии и Самурзакано, 1899 წ.
31. Кавказскаго военнаго округа, 1903 წ. მასშტაბი 1:840 000 ვერსებში.
32. Карта АССР Абхазии, გამოცემულია სოხუმში 1920 წელს, მასშტაბი 1სმ - 2,7 კმ.

33. Абхазская ССР, გამოცემულია 1920-იან წლებში.
34. რუდენკო ს., კროტკოვი ს., ლიაისტერი ა. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის რუკა. 1928 წ. გამომცემელი: О.С.О. Авиахима С.С.Р.Г. მასშტაბი - 1:1 000 000.
35. ჯავახიშვილი ალ., ცხაკაია ს. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასწავლო ფიზიკური რუკა, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა, 1930-იანი წლები, მასშტაბი 1:400 000.
36. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რუკა, საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტი, 1932 წ. მასშტაბი - 1:200 000.
37. საქართველოს ადმინისტრაციული რუკა, 1952 წ.
38. სატყეო რუკა, 1983 წ. მასშტაბი - 1:25 000.
39. ბერძენიშვილი მ., შოშიაშვილი ნ. საქართველო XVI საუკუნის პირველ ნახევარში.
40. დ. ნიკოლაიშვილი, რ. თოლორდავა, ო. დემეტრაშვილი. საქართველოს საზღვრები, თბ., 2009.
41. ბერუჩაშვილი ნ. კავკასიის ლანდშაფტური რუკა, 1979 წ. მასშტაბი - 1:1 000 000.

ინტერნეტრესურსები:

1. უჩა მურღულიას ბლოგი : „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“.
https://umurgulia82.blogspot.com/2017/06/19181921.html?fbclid=IwAR1epHIWq30OLJFAtZrx1vymu7Sk2XimWhp50APFfmEOw_pfTVshN4MnMuE

2. ვისია აიბგა? – რუსეთს ოკუპირებულ აფხაზეთთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვს.

https://odishinews.ge/2018/01/23/visia-aibga-ruseths-okupi/

3. https://www.myvideo.ge/v/1610207

4. აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების მხრივ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, პრაქტიკულად დემოგრაფიული უფსკრულისკენ მიექანებიან.

https://factcheck.ge/ka/story/29325-aphkhazethshi-demographiuli-vitharebis-mkhriv-sakmaod-mdzime-mdgomareobaa-praqtikulad-demographiuli-uphskrulisaken-mieqanebian

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

6. აფხაზეთის ადმინისტრაციული დაყოფა.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%90

7. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

8. აფხაზეთის ისტორია.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90

9. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარების მოკლე ისტორია.

http://agronews.ge/aphkhazethis-sophlis-meurneobis-ganvitharebis-mokle-istoria/

10. სოფლის მეურნეობა.

http://mariiosadze.blogspot.com/p/blog-page_1272.html

11. "სოხუმის სამხედრო გზა" - ისტორია და თანამედროვეობა, 21.07.2010, სიმონ კილაძე.

http://expertclub.ge/portal/cnid__5448/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

12. ,,ასე იყო 200 წლის წინათაც“, 12.10.2009., გოჩა გუნიავა.

http://rus.expertclub.ge/portal/cnid__2299/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

13. ,, რაულ ხაჯიმბა ენგურზე ხუთი გადასასვლელის ჩაკეტვის პირობას დებს“.

https://www.interpressnews.ge/ka/article/299416-raul-xajimba-engurze-xuti-gadasasvlelis-chaketvis-pirobas-debs/?ar=A

14. საქართველოს ეროვნული არქივი.

https://www.flickr.com/photos/national_archives_of_georgia/16322065048/in/photostream/

15.http://maps.reestri.gov.ge/#zoom=7&lat=42.13099&lon=43.9915&layers=0B0000000FFFFFFFFFFFFFFFFFT0000F

16. Google Earth Pro.

17. Черемных А. Забытые в Аибге. 3.09.2012.

http://alexsrb.livejournal.com/57207.html